

F 412
1958

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დროშა
№ 9 სექტემბერი 1958

ინოვაცია



საქართველოს
საზღვაო მართვა

აქ იწყება თბილისის ზღვა. ფოტო ი. ხალიპისა

გარეკანის პირველ გვერდზე: ირ. თოიძის ნახატი—„იმსხვერვა მონობის ჯაჭვები“.
მეოთხე გვერდზე: ზ. გაბაშვილის—სამარყანდის ბაზარი (ფრაგმენტი).

საქართველოს
საზღვაო მართვა



მირზა ცუქსუნი-ზადე

ახალი ხმა

(ნაწევრები პოემიდან)

1.

ელდება სივრცის ძლიერი ხმები,
 ეს ჩვენ ვიძახით აზიელუბი,
 ცისკარი მთებზე ავზიდეთ მხრებით,
 ეს ჩვენ ვიძახით აზიელუბი.
 გაუღვიძია აზიას უკვე,
 მორთულა დილის მოხატულ
 ჩითით,
 რეკავს მისი ხმა და სიჭაბუკე,
 ვით შეფრენილი ლაქვარდში ჩიტი.
 თუ გახსენდებათ ჰაფეზის ლექსი:
 — შულამისას მიცვურავთ ზღვაზე
 და გვშურს; მიწაზე ლელვა არ
 ესმით,
 არ სტიკვით ასე, არ სწუხან ასე.
 ახლა საერთო გვაქვს სიხარული,
 ყველა ძმა არი, ყველა გვიხარის,
 გვაქვს გაზაფხული ჩამოღვარული
 და გვაქვს ქვეყანა გაუტისრავი.
 არ გვეშინია ნისლის, გრივალის,
 ვუსმენთ მეგობრის რჩევას
 აზრიანს.
 უღელს ვათრევდით... რანი ვიყავით!
 დღეს კი სინათლე უნდა აზიას.
 ვით უცაბედად შემწვდარი წვიმა,
 წარსულს ჩაბარდა დღე
 ვინუღლიანი.
 ვინ გაიგებდა ჭიქების წკრიალს—
 გზებზე ბორკილთა იდგა უღრიალი.
 ერთმანეთს ვგავდით სხვადასხვა
 ხალხი,
 მაგრამ რა მძიმე გვერტყა რკალები,
 ჩვენ ერთ ვარსკვლავებს
 ვხედავდით მაღლით,
 ახლოს ვიყავით, როგორც თვალები.
 ახლა ჩვენია სახე ბაღები.
 დაუძმობილდა ნაყოფს ნაყოფი,

ერთი გვაქვს ცა და იალღები
და არაფერი გვაქვს გასაყოფი.

2.

აღმოსავლეთი არ მისცემს ნებას
 გადამოთილებს, გაძარცვონ იგი...
 ძველი მონობის ზურუსი ქრება,
 მძლავრი ზვირთების გრიალებს
 რიგი.
 ავსენით სფინქსის გამოცანები
 და ყველა ნიშნავს თავისუფლებას,
 ეს სიტყვა, სისხლით ჩამოცვარული
 დაქრის ქუხილით სახე
 ღრუბლებად.
 და ჩამოკაწრავს ზეცას ელვებით,
 გადაანთებს კლდეებს უეცრივ...
 — ჩვენ უბორკილო გვინდა
 ხელები! —
 დაიგრილებს ტალღა სუფიცი.
 და ინდოეთში სხვადასხვა მხრიდან
 ჩამოვდით და შევხვდით
 ერთმანეთს,
 — სიცოცხლისათვის! სიცოცხლე
 გვინდა! —
 ეს მზის სანთლები სიტყვებს
 ღვეთავენ.
 სიცოცხლისათვის შევკარით რიგი,
 სიცოცხლისათვის ჯერ კიდევ ადრე
 აქ, ინდოეთში ქალები რიდით
 ხელისგულეებზე ისთებდნენ
 სანთლებს,
 სიცოცხლის დიად საკურთხეველზე
 ჩვენ მივიტანეთ ჩვენი გულები,
 ეს სიტყვა ენთო მათა თხემებზე,
 ვით მაცნე დიდი გაზაფხულების.
 გზაზე მოგვდედნენ ბავშვები
 დიდხანს,
 მწვანე ბაღებში ნათამაშებნი.
 — დაგვიცავითო ბაღლები,
 — გვითხრეს:
 თქვენც ხომ იყავით ერთ დროს
 ბავშვები...

3.

ხდება—ვეშაპი ჩაყლაპავს თევზებს,
 პატარა თევზებს, უმწეო თევზებს,
 ამოვა მერე და გამამღარი
 ოკეანეში ნუბიფრობს მზეზე,
 მაგრამ არ არის ისეთი ძალა —
 თავისუფლება ჩაუკლას ხალხებს...
 ჩვენი საყვარი სამყაროს ბზარავს,
 ჩვენს მაღალ დროშებს მაისი
 არხებს.
 ავიმართენით მაღლა და მაღლა,
 თავისუფლების გვალაღებს ხანგი,
 მოდის, მოლელავს ახალი ტალღა,
 ერთად მოლელავს ნილოსი, განგი...
 თარგმნა
 თამაზ შილაძემ.


კაირო-ბაღდადი

მოთა კარლელაშვილი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1952 წლის 23 ივლისი და 1953 წლის 14 ივლისი, — ეს ორი ღირს-
 შესანიშნავი თარიღი, ოქროს ასო-
 ბით ჩაიწერება არაბი ხალხის ეროვ-
 ნულ-განმათავისუფლებელი ბრძო-
 ლის მატანიეში.
 1952 წლის 23 ივლისს „თავისუ-
 ფალ ოფიცერთა“ საიდუმლო ორგა-
 ნიზაციაში გაერთიანებულმა პატრი-
 ოტულად განწყობილმა ეგვიპტელმა
 ოფიცრებმა მაიორ გამალ აბდულ
 ნასერის მეთაურობით ააფრიალეს
 კაიროში ანტიიმპერიალისტური და
 ანტიფეოდალური ეროვნული რევო-
 ლუციის დროშა, დაამხეს მონარქია
 და ეგვიპტე დამოუკიდებელ რეს-
 პუბლიკად გამოაცხადეს.
 ექვს წლის შემდეგ, 1958 წლის
 14 ივლისს, ინგლისელ კოლონიზა-
 ტორთა უკანასკნელ დასაყრდენ
 პუნქტში, არაბულ აღმოსავლეთში,
 — ერაყში — „თავისუფალ ოფიცერ-
 თა“ საიდუმლო ორგანიზაციაში გა-
 ერთიანებულმა პატრიოტულად გან-
 წყობილმა ერაყელმა ოფიცრებმა გე-
 ნერალ აბდულ ქერიმ კახემის თაოს-
 ნობით ანტიიმპერიალისტური ეროვ-
 ნული რევოლუციის დროშა ააფრია-
 ლეს ბაღდადში, დაამხეს მონარქია
 ერაყში და ერაყი რესპუბლიკად გა-
 მოაცხადეს. ბოლო მოეღო ინგლი-
 სელ კოლონიზატორთა ორმოცწლიან
 ბატონობას ერაყშიაც.
 კაირო და ბაღდადი საუკუნეთა
 მანძილზე მუდამ მხარდამხარ იბრ-
 ძოდნენ სხვადასხვა ჯურის უცხოელ
 დამპყრობთა წინააღმდეგ.
 ქალაქი ბაღდადი დააარსეს არა-
 ბებმა მე-8 საუკუნეში სასანიანთა
 ირანის დედაქალაქის კტეზიფონის
 ნანგრევებზე, მდინარე ტიგროსის
 ნაპირას. მე-9—მე-12 საუკუნეში ქა-
 ლაქი ბაღდადი მთელი ახლო და
 შუა აღმოსავლეთის პოლიტიკურ,
 კულტურულ და ეკონომიურ ცენტრს
 წარმოადგენდა. მე-13 საუკუნის ორ-
 მოცდათიან წლებში ბაღდადი დაი-
 პყრეს და ააოხრეს მონღოლთა ურ-
 დობმა. მეთოთხმეტე და მეთხუთ-
 მეტე საუკუნეთა მიჯნაზე ბაღდადი
 ორჯერ დალაშქრა მრისხანე თემურ-
 ლენგმა.
 მე-16 საუკუნეში ბაღდადი და
 მთელი შუამდინარეთი ოსმალთ-
 თურქებმა ჩაიკავეს ხელში. თურქთა
 თითქმის ოთხ საუკუნოვან ბატონო-
 ბას ბაღდადში მხოლოდ პირველმა
 მსოფლიო ომმა მოუღო ბოლო.
 ერაყელი არაბების დასათრგუნა-
 ვად ოსმალეთის სულთნებმა ბაღ-
 დადში მმართველად თურქი ფაშა
 დასვეს და ჩააყენეს თავიანთი მეცი-
 ხოვნე ჯარი, რომელიც, უმთავრესად,
 უცხო ქვეყნებში წაყიდი და ტყვედ
 ჩაუარდნილი ახალგაზრდა მეომრები-
 საგან შესდგებოდა. მე-18 საუკუნის

დამდეგისათვის ბაღდადში მკვდომი
 თურქი ფაშის ლაშქარი უმთავრესად
 ქართლ-კახეთიდან გატაცებული, თუ
 გაყიდული, ქართველი ჯაბუკებისა-
 გან შესდგებოდა. ამ დროს ბაღდად-
 ში მყოფ ქართველ ე. წ. კულმენთა,
 ანუ იგივე მამულეთა, ლაშქარი რა-
 მდენიმე ასეულ ქართლ-კახელ ვაუ-
 კაცს ითვლიდა. მე-18 საუკუნის
 ორმოცდაათიან წლებში ერაყელმა
 მამულქებმა იმძლავრეს, აუგანუდ-
 ნენ თურქ ფაშას, შემუსრეს ოსმალ-
 თა ლაშქარი და გაანთავისუფლეს
 ბაღდადი და მთელი შუამდინარეთი
 თურქებისაგან. ერაყელი ხალხი აღ-
 ფრთოვანებით შეეგება ქართველ
 მამულქთა ანტითურქულ აჯანყებას
 და ქვეყნის მოვლა-პატრონობაც
 ქართველებს შესთავაზა. ქართველ
 მამულქთა ძლიერებით შემსწინებუ-
 ლი სულთანი იძულებული გახდა
 ბაღდადისა და შუამდინარეთის მმარ-
 თველზე ოფიციალურად დაემტკი-
 ცებინა ერაყელი ხალხის მიერ არ-
 ჩეული ქართველი მამულქები. ქარ-
 თველ მამულქთა მმართველობამ
 ერაყში თითქმის მთელი საუკუნე
 გასტანა. ერაყელი ისტორიკოსნი და
 მემატიანენი ქება-დიდებათა და პა-
 ტვისცემით იხსენიებენ ბაღდადის
 და მთელი შუამდინარეთის ქართველ
 მმართველებს — სულეიმან დიდს,
 სულეიმან მცირეს, დაუდ ფაშას და
 სხვა მრავალთ, რომლებმაც თავიანთ
 თანამემამულეთაგან შემდგარ ლაშ-
 ქარზე დაყრდნობით დიდი ამაგი და-
 სვეს ერაყელი ხალხის თავდადებულ
 ბრძოლას თურქ დამპყრობთა წინააღ-
 მდეგ.
 ქართველმა მემალქებმა დიდი
 ამაგი დასდეს, აგრეთვე, არაბული
 კულტურის განვითარებას ერაყში.
 ბევრმა როდი იცის, მაგალითად,
 რომ მე-19 საუკუნის 20-ან წლებში
 დაუდ ფაშას ინიციატივით ქართველ-
 მა მუჰამედ შაქირმა, წარმოშობით
 თბილისელმა, ბაღდადში პირველი
 არაბული სტამბა დააარსა!
 ქართველ მემალქთა მმართველო-
 ბის მოსპობა ერაყში ოსმალეთის
 სულთნებმა მხოლოდ მე-19 საუკუ-
 ნის 40-ან წლებში მოახერხეს, რა-
 შიაც მათ დიდი დახმარება გაუწიეს
 ინგლისელმა კოლონიზატორებმა.
 პირველ მსოფლიო ომში ოსმალე-
 თის დამარცხებამ ბოლო მოუღო
 თურქთა ხანგრძლივ ბატონობას
 ერაყში. მაგრამ, ერაყი ამ ჯერად
 უკვე ინგლისელმა იმპერიალისტებმა
 ჩაიკავეს ხელში. 1920 წელს სან-
 რემოს კონფერენციაზე ინგლისმა
 მიიღო ერთა ლიგის მანდატი ერაყის
 მმართველობაზე. 1921 წელს ინგლი-
 სელებმა ერაყი არაბულ სამეფოდ
 გამოაცხადეს და ერაყის ტახტზე შა-
 შიმელთა დინასტიის წარმომადგენე-



ლი ემირი ფეისალ I დასვეს. ხოლო, ფეისალ I-ის ძმა აბდულაჰი ტრანსიორდანიის მეფედ გამოაცხადეს. პაშიმელთა საგვარეულოს ამ ორ წარმომადგენელზე დაყრდნობით ინგლისელ კოლონიზატორებს სურდათ განემტკიცებინათ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციები არაბულ ამოსავლეთში. მაგრამ, ფეისალ I-ის ერავის ტახტზე დასმამდე არცთუ ისე ადვილი საქმე აღმოჩნდა. ბრიტანელ იმპერიალისტთა ამგვარ ხრიკებს ერაყელმა ხალხმა აჯანყებით უპასუხა. ინგლისის საოკუპაციო ჯარებმა სისხლში ჩაახშეს აჯანყება და ასე გაუმარტეს ტახტი ფეისალ I-ს.

ერაყელი ხალხის ანტიიმპერიალისტური შრომის წრდით დაშინებულმა ბრიტანელმა კოლონიზატორებმა 1930 წელს გააუქმეს ინგლისის მანდატი ერაყზე, მაგრამ, სამაგიეროდ, ერაყს თავს მოახვედრეს არაბულ საზღვარგარეთი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ინგლისმა კვლავ უზრუნველყო თავისი პოზიციები ერაყში. 1941 წელს ინგლისის ჯარებმა კვლავ ჩაახშეს სისხლში ერაყელთა ძლიერი ანტიინგლისური აჯანყება, რომელსაც რაშიდ ალი ალ-გაილანი მეთაურობდა.

1955 წელს ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა შეაკოწიწეს ახლო აღმოსავლეთში აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება ე. წ. „ბაღდადის პაქტი“, რომელშიაც ჩაითრიეს ერაყი, თურქეთი, ირანი და პაკისტანი. ბაღდადის ბლოკში ერაყის ჩათრევა იმპერიალისტებმა მოახერხეს ერაყელ რეაქციონერებზე დაყრდნობით, რომელთაც სათავეში ედგა უცხოელ იმპერიალისტთა ძველისძველი და უერთფელესი მსახური ნური საიდი.

ერაყში ინგლისელთა ბატონობის 40 წლის მანძილზე 50 მთავრობა გამოიცვალა. ამ დროის განმავლობაში ნური საიდი 19-ჯერ იყო ერაყის მთავრობის მინისტრი და 7-ჯერ პრემიერ-მინისტრი. მაშინაც კი, როდესაც ნური საიდი მთავრობაში არ შედიოდა, ქვეყნის საქმეებს ფაქტიურად იგი განაგებდა, თუმცა მას ზურგს უმაგრებდნენ, აგრეთვე, მეფე ფეისალ II და განსაკუთრებით ერაყის ტახტის მემკვიდრე, ფეისალ II-ის ბიძა, აბდულ ილაჰი.

ჩაითრიეს რა ერაყი ბაღდადის ბლოკში, იმპერიალისტებმა ფაქტიურად მთელ არაბულ ამოსავლეთს დაუპირისპირეს იგი. ბაღდადი იქცა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა ძირითად ბურჟუაზ ახლო და შუა აღმოსავლეთში.

როდესაც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შეიქმნა, ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებმა საჩქაროდ დაადებინეს ერაყის მეფეს ფეისალ II-ს და იორდანიის მეფე ჰუსეინს ხელშეკრულება, იორდანია-ერაყის ე. წ. „არაბთა ფედერაციის“ შექმნის შესახებ. „არაბთა ფედერაციის“ მეფედ ფეისალ II გამოაცხადეს, ხოლო პრემიერ-მინისტრად 70 წლის ნური საიდი დასვეს.

მიმდინარე წლის მაისში ანტიიმპერიალისტურმა აჯანყებამ იფეთქა ლიბანში. ლიბანელი ხალხის აჯანყების ჩასახშობად იმპერიალისტებმა მრავალ ხრიკს მიმართეს. ნური საიდმა დაიბარა დივიზიის მეთაური გენერალი აბდულ ქერიმ კასემი და უბრძანა დივიზია ლიბანსა და სირიაზე სალაშქროდ მოემზადებინა. თანამედროვე სამხედრო საჭურველით შეიარაღებული დივიზია გენერალმა კასემმა ლიბანისა და სირიის მაგიერ ბაღდადისაკენ დასძრა. აჯანყებულ დივიზიის შუერთდნენ ერაყის ჯარის სხვა ნაწილები და ერაყის მთელი მოსახლეობა. აჯანყებულებმა დაიკავეს ბაღდადში ყველა სტრატეგიული პუნქტი, მეფისა და მთავრობის სასახლეები. ფეისალ II-მ და მისმა ბიძამ აბდულ ილაჰმა სცადეს აჯანყებულთათვის წინააღმდეგობის გაწევა და ხალხის რისხვას შეეწირნენ. გაიძვრა ნური საიდი კი ჩვეულ ხერხს მიმართა, ისევე როგორც 1936 და 1941 წლების ანტიიმპერიალისტური აჯანყებების დროს, მან საჩქაროდ გადაიკვან დედაკაცის კაბა, სახეზე ჩადრი ჩამოიფარა და ამგვარად სცადა ხელიდან დასხლტომოდა ხალხის მსჯავრს. მაგრამ, ყოველთვის როდი მოიტანს კოკა წყალს! „ჩადროსანი“ ნური საიდი იცნეს, ჩადრი ჩამოგლიჯეს და... ჩაქოლეს. ერაყში მონარქია დაემხო და რესპუბლიკა გამოცხადდა.

ერაყის რესპუბლიკურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბაღდადის აგრესიული ბლოკიდან და ხელდასრულდა შეკოწიწებული იორდანია-ერაყის „არაბთა ფედერაციიდან“ გამოსვლის შესახებ, აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობანი საბჭოთა კავშირთან, სცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დასდო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან.

1958 წლის 14 ივლისის ეროვნულ რევოლუციის შედეგად საზოგადოებრივმა ბაღდადის პაქტი და ამერიკელ იმპერიალისტთა „დაღმსწერი“ ემპერიალისტური დოქტრინა, ბაღდადი კვლავ მხარში ამოუდგა კაიროს!

არაბ ხალხთა მორიგ გამარჯვებას ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტებმა აღვირახსნილი აგრესიით უპასუხეს არაბულ ამოსავლეთში. მათ გადასხეს თავიანთი ჯარები ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიაზე, ემზადებოან ერაყისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკებზე თავდასხმისათვის. მათ სურთ ჩამოგლიჯონ კაიროსა და ბაღდადში მაღლა ამართული არაბთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დროშა და არაბული ამოსავლეთი კვლავ კოლონიალიზმს დაუმორჩილონ.

საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხები გადაჭრით მოითხოვენ ინგლის-ამერიკის ინტერვენტთა ჯარების გაყვანას იორდანიისა და ლიბანის ტერიტორიებიდან და სასტიკად გამოიბნენ იმპერიალისტურ აგრესიას ახლო და შუა აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთი აჯანყების მხარეები ქართულად

აღმოსავლეთის ქვეყნების მწერალთა თხზულებების ქართულად თარგმნას და გამოცემას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა აზიის მრავალი პოეტისა და პროზაიკოსის თხზულება შეისწავლეს, თარგმნეს და გამოაქვეყნეს.

განსაკუთრებული ყურადღებით ქართველი მეცნიერები იკვლევდნენ სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას. ამ საკითხისადმი მიძღვნილია აკადემიკოსების — კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, პროფ. იუსტინე აბულაძის, გიორგი ჯავახიას, პავლე ინგოროვას და ალ. ბარამიძის შრომები, — რომლებშიც განხილულია „შაჰნამეს“ ქართული ვერსიები, „ვის-რამიანის“ ქართული ტექსტი, „ქილილა და დამიანს“ ქართული ვერსიები და სხვა.

უკანასკნელ წლებში თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა პროფ. დ. კობიძის ორი წიგნი — „ახალი სპარსული ლიტერატურა“ (1946) და „სპარსული ლიტერატურა“ (1947), რომელშიც განხილულია საგმირო-ეპიკური ხასიათის თხზულებანი („შაჰნამე“, „გერშასფნამე“, „გარზუნამე“, „საამნამე“, „ბაჰანამე“).

სპარსეთის ლიტერატურის თარგმნაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამბაკო ჭელიძეს, რომელმაც თარგმნა საადის — „გოლესთან“, ომარ ხაიმის „როზაიათ“. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ამბაკო ჭელიძის მიერ შედგენილმა და თარგმნილმა „სპარსულმა ლირიკამ“ — რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა, ამბაკო ჭელიძის თარგმანებით ქართველი მკითხველი გაეცნო სპარსული ლირიკის შედევრებს — ომარ ხაიმს, საადს, რუმი, ნიზამს, აბულაღს იზნ სინა, აბუხეირს, ჰაფანს, ფეჟს და ჰაფიზს — ამბაკო ჭელიძის მიერ შედგენილ და თარგმნილ ამ თავისებურ ანთოლოგიაში თავმოყრილია სპარსული ლირიკის საუკეთესო ნიმუშები — მრავალ პოეტს ქართველი მკითხველი პირველად გაეცნო ამ წიგნით. უკანასკნელ წლებში ხელახლა გამოიცა მრავალი სპარსული თხზულება, რომელიც ქართველ მკითხველებში („თიმსარიანი“ — თარგმნილი ირანულიდან თეიმურაზ მეორის მიერ, ფირდოუსის — „გმირ-ბექანინი“ და სხვა) — აზიისა და აფრიკის მწერალთა კონფერენციაზე, ტამ-კენტში — საქართველოში გამოცემული ასევე მეტი წიგნი იქნება წარმოდგენილი — რომლებიც ითარგმნა ავღანური, ინდური, ირანული, ჩინური და არაბული ენებიდან.



საქართველოში კარგად იცნობენ და დიდი გატაცებით კითხულობენ დიდი ჩინეთის ძველსა და ახალ ლიტერატურას. დიდი ტირაჟებითაა გამოცემული ჩინეთის კლასიკოსის ლუ-სინისა და თანამედროვე ჩინელი მწერლების რომანები და მოთხრობები.

ასეთივე პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს ინდოეთის ლიტერატურა. ინდური ეპოსი „რამაიანი“, რომელიც თარგმნა რაყდენ გვეტაძემ, სამაჯერ გამოიცა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

რამდენჯერმე ითარგმნა რაბინდრანათ თაგორის ლირიკა და მოთხრობები. გამოიცა, აგრეთვე, კრიშან ჩანდრის, რაჯ მულე ანანდის, პრემ ჩანდის და სხვა თანამედროვე მწერლების მოთხრობები. დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველი მწერლების მიერ თარგმნილი ინდურმა ლექსებმა და მოთხრობებმა — ნავთეჯის ნოველამ — „ბავშვები“ და კრიშან ჩანდრის „მთვარიან ღამეს“ — რომლებიც ალ. ქუთათელმა თარგმნა — სატიან-სარინ სინის — „დილა სორენტოში“ — (თარგმანი მარიამ აგიაშვილისა), დიდი ინდოელი კლასიკოსის რაბინდრანათ თაგორის მოთხრობები, „მოსამართლე“ (თარგმ. კარლო ქილარჯიანისა) და „ქაბულელი“ (თარგმ. თინა კობლაძისა). ქართველმა პოეტებმა თარგმნეს ინდოელი პოეტების ვალაბოლის, ჩატოპადიაის და სხვათა ლექსები. თურქული მწერლებიდან დიდ ინტერესს იწვევს და რამდენიმეჯერ ითარგმნა, გამოიცა და თეატრებში დაიდგა ნაზიმ ჰიქმეთის ბიესები, ცალკე წიგნად გამოიცა მისი პოემა „ზოია“ და რჩული ლექსების კრებული.

თარგმნილია და გამოცემული გუ შიდეგ საბრის, საბაჰათინ ალია და სხვათა მოთხრობები, — მოლა ნასრედინის ანეგდოტები მრავალჯერ ითარგმნა ქართველი მწერლების მიერ (თედო სახოკია, ამბაკო ჭელიძე) და ფართოდაა ცნობილი.

არაბული ეპოსი „ათას ერთი ღამე“ — დიდი ხანია ერთი უსაყვარლესი წიგნთაგანია ქართველი მკითხველისათვის. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულად გამოიცა კორეული და ბირმული ზღაპრები, იაპონელ მწერლის ტერუ ტაკაკურას მოთხრობები. ტამკენტის კონფერენციისათვის ბევრ სხვა წიგნთან ერთად იბეჭდება აკადემიკოს გიორგი წერეთლის ვრცელი შრომა არაბული ლიტერატურის შესახებ; გამოიცა ბრეგალინი მწერლის შრომა „მენდრო მიტროს, ცვილონელი მწერლის მარტინ ვიკრამასინგეს, ლიბანელი მწერლების კრებული. ითარგმნა და გამოიცა ფილიპინელი პოეტების კრებული.





ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკას ეწვია მრავალი დელეგაცია აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. ისინი დიდის ინტერესით ეცნობოდნენ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს. ქვემოთ გაქვეყნებთ ნაწევრებს მათი გამოსვლებიდან და სტატიებიდან.

გოვინდა რედი (აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ქაიროს კონფერენციის მონაწილე, ინდოეთის დელეგაციის ხელმძღვანელი).

განსაკუთრებული ბედნიერება ვიგრძენით ჩვენ აქ, ამ მშვენიერსა და შესანიშნავ ქალაქში. ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხედავთ, რომ საქართველოს თვითეული მკვიდრი ცდილობს და მოწადინებულია თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული წინსვლისა და აყვავების საერთო დიად საქმეში. ძალზე სასიხარულოა ის მოვლენა, რომ თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს კულტურასა და ხელოვნებას, მე წამეცინება და გამეგონა, რომ საერთოდ საბჭოთა კავშირში ყველგან ასეა. მაგრამ ყველაზე ცხადად და თვალსაჩინოდ ეს თქვენს ქალაქში იგრძნობა.

ჰასან მაჰმუდ ელ შაჰედი (ეგვიპტის ეროვნული კრების დეპუტატი).

ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ ამ თავისუფლების სიყვარულითა და სტუმართმოყვარეობით სახელგანთქმულ ქვეყნის შვილებს ვხედავ ჩემს ირგვლივ. ჩვენი ხალხების ისტორიული ურთიერთობა და კულტურული კავშირის შესახებ მე ბევრი რამ მსმენია და მართლაც ჩვენ ბევრი რამა გვაქვს საერთო. მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე უცხოელ კოლონიზატორთა წყალობით ჩვენ მოწვევტილნი ვიყავით მთელს გარესამყაროს.

ახლა ეგვიპტემ უკვე დაიმტკიცა უფლება იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და ახლო მომავალში ჩვენ შევსძლებთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მშვიდობისათვის ბრძოლის დიად, კეთილშობილ საქმეში, უწინარეს ყოვლისა, შუა და ახლო აღმოსავლეთში. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ფართოდ გაუღოს კარები კულტურული ურთიერთობისათვის ყველა ქვეყნებთან და, განსაკუთრებით, ჩვენს მეზობელ და მახლობელ სახელმწიფოებთან, რომელთაც ეგვიპტის უძველესი და ტრადიციული ურთიერთობა ჰქონია ოდესმე.

ანტუან ტაბეტი (მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრი, ლიბანის დელეგაციის მეთაური).

ყველაზე მეტად ღირსშესანიშნავი, რაც კი ვნახეთ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, სადაც კი ჩვენ მოგვიხდა ყოფნა, ესაა ზრუნვა ხალხის კულტურასა და განათლებაზე, არ არის არც ერთი ფაბრიკა, ქარხანა ან კომმუნურება, რომლის გვერდით არ იყოს კულტურის სასახლე ან სახლი.

ჩვენ ყველგან ცხოველი ინტერესით გვხვდებოდნენ, დამხვდურთ აინტერესებდათ არა მარტო არაბული მემკვიდრეობა მსოფლიო კულტურის საგანძურში, არამედ ისინი გულდასმით ადევნებენ თურმე თვალყურს ჩვენს ბრძოლებსაც ეროვნული დამოუკიდებლობისთვის.

საქართველოს დედაქალაქ თბილისის უნივერსიტეტში სასიხარულო სიურპრიზი გველოდა: შესანიშნავად მიგვიღეს და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სახელით უზაოდ სწორ არა-

ბულ ენაზე მოგვესალმა თვრამეტი წლის ქალი-შვილი...

ჩვენ ვგრძნობდით იმ ყურადღებას, რომელსაც აშუღავებდნენ საბჭოთა ადამიანები ჩვენი კულტურის, ცივილიზაციის, ჩვენი ეროვნული ბრძოლის, ჩვენი რწმენისა და იმედების მიმართ, ვიგრძენით ეს საუბარში პროფესორ გიორგი წერეთელთან, განსაკუთრებით არაბული ენის, მისი ისტორიისა და მისი განვითარების საკითხების მიმართ. ჩვენ დავრწმუნდით, თუ რაოდენ საჭირო და სასარგებლო იყო ეს ჩვენი ვიზიტი. საჭიროა ჩვენ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდოს და გახშირდეს. საჭიროა კულტურული კონტაქტების დამყარება, დეე, ჰევაოდეს ხალხთა შორის მეგობრობა და ძმური სიყვარული.

ბალჰანი ბარბი (ინდოელი პოეტი).

თბილისი მე პენჯაბს მაგონებს. იგივე ცხოველმყოფელი ჰაერი, ისეთივე მცხუნვარე მზე, იმავე ტიპის მზემოკიდებული ადამიანები, რომელთა სახე სპილენძის ელვარებას გამოსცემს, ზოგი სიტყვებიც „ჰავა“, „პური“, „ჰადრაიკი“ — ერთი გეჰონია, საჭმელებიც, განსაკუთრებით მწვადი, ცხარე საწებელი, მწვანილის სიუხვე, კეცზე გამოცხვარი მჭადი, — სულ ისეთივეა, როგორც ჩვენში. აქ ხალხი ისევე კარგად და გემოვნებით იცვამს, როგორც ჩრდილოეთ ინდოეთში.

ორ ქვეყანას ყოფდა, დაინგრა ჩვენთვის ფართოდ გაიღო მეგობრობის კარები და ჩამჩქვინდა ამ კარებში გაივილიან ჩვენი სიმღერებისა და ცეკვების ქარავნები...

თბილისის გოგირდოვანი წყლების სიმხურვალე ძალზე დამახასიათებელია თვით აქაურ მკვიდრთათვის; ისევე როგორც ეს წყაროები, მიწის სიღრმიდან რომ ამოჩუხჩუხებენ, ეს ხალხიც მკვირცხლია და დაჯილდოებული გრანტისებური ნებისყოფით. ამავე დროს იგი აღსავსეა სითბოთი, მეგობრობის გრძნობითა და სიყვარულით.

მე ვხვდებოდი საბჭოთა ადამიანებს ყველგან: ოჯახში, ქუჩაში, თეატრთა დარბაზებში, რესტორნებში. ვიყავი პიონერთა სასახლეში, სადაც ვნახე; თუ როგორ ერთობიან და მეცადინეობენ ბავშვები. მე ხელის ჩამორთმევით ვესალმებოდი და ვემშვიდობებოდი საქართველოს უბრალო ადამიანებს, მათ ჩემზე მოახდინეს მოსიყვარულე, გულმხურვალე, ნაზი, პირდაპირი, მხიარული, შრომისმოყვარე ადამიანების შთაბეჭდილება. მათ უყვართ მშვიდობა, „რადგან უყვართ სიცოცხლე“.

ჰუსეინ მურუზა (ლიბანელი მწერალი).

კიდევ რამდენიმე საათი და ჩვენ დავტოვებთ მშვენიერ საქართველოს და ძვირფას მეგობრებს, აქ რომ შევიძინეთ. გული იმ ადამიანით მტკივა, რომელმაც თავისი სამშობლო უნდა დასტო-




1957 წ. დასასრულს კაიროში შედგა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენცია, რომლის მონაწილე ინდოელი და ცილონელი დელეგატები 1958 წ. იანვარში თბილისს ეწვიენ.

მე დავესწარი საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის კონცერტს. მუსიკა ჩემთვის აბსოლუტურად ცნობილი გამოდგა. ქართული ცეკვები ზედმიწევნით ვაჟაკურია და წარმტაცი. ისინი მაგონებენ პენჯაბური ცეკვის „ბჰანგას“ ძაღლივით სავსე მოძრაობებს. უნდა ითქვას, რომ პენჯაბური ცეკვები და სიმღერები ქართულთან უფრო ახლო დგანან, ვიდრე სამხრეთ ინდოეთის ცეკვებთან და სიმღერებთან. ვინ იცის, იქნებ, რამდენიმე საუკუნის წინ აქაურ ვაჭრებს გრძელი საქარავნო გზით ინდოეთთან ჰქონდათ მიმოსვლა, მათ არა მარტო საქონელი ჩამოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში, არამედ, ალბათ, სიმღერა-ცეკვებიც. შემდეგ დროთა ვითარებაში ნორმალური აღზე-მიცემობა შეწყდა, ხოლო სიმღერა, ცეკვა, ცალკეული სიტყვა, ესა თუ ის ჩვევა და მანერა ორივე ქვეყნის ხალხში ფესვებს იდგამდა და საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა, იზრდებოდა და ამრიგად შენარჩუნებული იქნა ცოცხალი კავშირი ორ, ერთმანეთისაგან დაშორებულ კულტურათა შორის... ახლა კედელი, რომელიც ამ

ვოს და მისგან შორს გაემგზავროს. მაგრამ არა, მე არასოდეს არ დავტოვებ საქართველოს. იგი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. საქართველო და თბილისი ყოველთვის იცოცხლებენ ჩემი გულის ყველაზე ძვირფას კუნძულში, ჩემი სულის ყველაზე სათუთ სიღრმეში. სალამს ვუძღვნი ყველას, ვინც აქ რჩება.

სალამი კომკავშირელ მერის, რომელმაც მეკრძღე გამოიკეთა საბჭოთა ახალგაზრდობის უმშვენიერესი საჩუქარი, — კომკავშირის ნიშანი. მე მას ჩემი ქვეყნის ახალგაზრდებს ჩავუტან. სალამი ცქრიალა ნონას, რომელიც ჩვენ საქართველოს ბავშვების სახელით მოგვესალმა. ამ მისალმებას ჩვენ სირიის, ლიბანის და სხვა არაბული ქვეყნების ბავშვებს გადავცემთ.

სალამს ვუძღვნი კიროვის სახელობის ქარხანას, სადაც მე ვნახე, რომ ადამიანი ბატონ-პატრონია მანქანებისა და ჩარხებისა, რომელნიც მის მარჯვე ხელებსა და ნიჭს თვინიერად ემორჩილებიან, სალამი ქვეყანას, სადაც არ არის ექსპლოატაცია და მონოპოლია.



ჩემი გულითადი სალაშქრო პროფესორ გიორგი წერეთელს, ცნობილ სწავლულსა და მკვლევარს, ადამიანს, რომელიც არაბული ენის მეშვეობით აკავშირებს მეგობრობის გრძობით არაბ და ქართველ ხალხებს. სალამს ვუძღვნი საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ყოველ მუშას, კოლმეურნეს, მწერალს, სტუდენტებსა და ბავშვებს.

მ-ნი რამიშვარი ნერუ (ინდოელი საზოგადო მოღვაწე) ჩვენ საქმად ბევრი რამ ვნახეთ ამ რესპუბლიკაში და დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრია გაკეთებული უბრალო ადამიანებისათვის. არსებობს ფრიად ფართო ქსელი საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებების, რომლით სარგებლობაც ყოველ მოქალაქეს შეუძლიან.

გუშინ ჩვენ ვინახულეთ ერთ-ერთი სანატორიუმი და ჩვენდა სასიხარულოდ გავიგეთ, რომ ამ სანატორიუმში ყოველთვიურად 150 ქალი და კაცი ისვენებს. აქ ყოველგვარი პირობაა შექმნილი მკურნალობისათვის, იმისათვის, რომ იგრძნოს სიცოცხლის მაღალი და ალივსო ახალი ძაღლიანი. ჩვენ ძალზე განგვაკვივრა იმან, რომ მარტო საქართველოში ასზე მეტი ასეთი სანატორიუმი არსებულა.

ჩვენ ვესტუმრეთ, აგრეთვე, პიონერთა ბანაკს და ამ სტუმრობამ დიდი კმაყოფილება მოგვანიჭა. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ზრუნავენ ბავშვებზე, ვნახეთ მათთვის განკუთვნილი ბაგები, ბაღები, პიონერთა სასახლე და დავრწმუნდით, რომ სკოლის გარეშე მუშაობა გამოიყენება იმისთვის, რათა ბავშვებს შესაძლებლობა მიეცეს სრულყოფილად განავითარონ თავისი ნიჭი.

ჩვენ დავრწმუნდით, აგრეთვე, იმაშიც, რომ ქალები ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ქვეყნის ცხოვრებაში, ხოლო ზოგიერთ სფეროში (დარგში) კი, როგორცაა, მაგალითად, მედიცინა, ისინი უმრავლესობასაც კი შეადგენენ. მრავალ სპეციალობას, რომელიც ძველად მხოლოდ მამაკაცის შესაფერად ითვლებოდა, ახლა წარმატებით ეუფლებიან ქალები.

იანია სოლოვიანოვი (ირანის საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წევრი)

საბჭოთა საქართველოს მაგალითმა და საერთოდ ყველაფერმა, რაც ჩვენ საბჭოთა კავშირში ვნახეთ, დაგვარწმუნა, რაოდენ ბრძნულად და სწორად არის გადაწყვეტილი საბჭოთა ქვეყანაში ნაციონალური საკითხი, რაოდენ მტკიცეა საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში ძმური მეგობრობა დამყარებული თანასწორობასა, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე.

საქართველოში ჩვენ დავინახეთ კულტურის მაღალი დონე, ამ რესპუბლიკის მკვიდრთა დიდი პროცენტი უმაღლესი განათლებითაა. ის ფაქტი, რომ 300 მოსახლეზე ერთი ექიმი მოდის, ხოლო 400-ზე ერთი აგრონომი, მჭევრმეტყველურად მიგვიჩვენებს ამ ხალხის შესანიშნავ კეთილდღეობაზე.

ჯანაბარალა ნერუ (ინდოეთის პრემიერ-მინისტრი).

...მე მოვედი საქართველოში და თუმცა ჩემი ქვეყნიდან ძლიერ შორს ვიმყოფები, თქვენი ქვეყნის თბილი ამინდის გამო თავს ისე ვგრძნობ, თითქო ჩემს სამშობლოში ვიმყოფებოდე. და თუმცა მე აქ ვრჩები ძალზე მოკლე ხანს, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებ შევიძინო აქ მეგობრები და გავცნო იმ დიდ მუშაობას, რომელსაც თქვენ ეწეით.

ნაზიმ ჰიქმეთი

მ ე მ ც ე ს ა უ კ უ ნ ე

— გინდა გვეძინოს, ძვირფასო ახლა, თავი მივანდოთ ძილის უკუნეთს, და გავიღვიძოთ ასი წლის შემდეგ, როცა გაივლის ეს საუკუნე?

— არა, არ მინდა ასი წლის ძილი, და არც სიმშვიდე წყურია ამ სულს;

ეს საუკუნე მე არ მაშინებს, ამ ეპოქიდან გაქცევა არ მსურს! თუმც ჩემი ხანა მტრებმა შელახეს, მაინც ბოზოქარ ნიაღვარს მოჰგავს, ეს — ეპოქა მებრძოლი ხალხის, გამირობის,

ბრძოლის, დიდი ეპოქა.

არ ვნანობ, ადრე რომ დავიზადაე და რომ არ გავჩნდი ასი წლით გვიან,

მე მამაყებს და ხალხის მმატებს — ამ საუკუნის მკვიდრი რომ მქვიან, რომ ვცხოვრობ ქვეყნად ახლა, ამ დროში — ბედნიერებად ესეც მყოფა!

ცხარე ბრძოლებით, შფოთით, დებოშით,

ვქმნით ახალ ხანას, ახალ ეპოქას.

— ჩემო ძვირფასო, ასი წლის შემდეგ!..

— არა, სულ მალე,

ძალიან მალე

ახალი ერა უნდა აშენდეს და განთიადი გაახელს თვალებს,

გაქრება ღამე, საზარი ზინდი,

მზე გაბრწყინდება მსოფლიოს თავზე,




დადგება თბილი, წყნარი ამინდი, მაგ თვალებივით მზის უქიით სახეზე. თურქულიდან თარგმნა ვახტანგ კამალიძე

ალ რაშიდ ბაიელი (სულდანი ვეფილი, კომუნისტი)

ქართველი ხალხის გამირული ისტორია ათასეულ წლებს ითვლის. ესაა პროგრესის, ხელოვნების გაფურჩქვნისა და გამირული ბრძოლის ისტორია, ბრძოლისა, რომელსაც ეს მცირერიცხოვანი ერი აწარმოებდა უამრავ დამპყრობთა წინააღმდეგ, ასე დახარბებულნი რომ იყვნენ ამ ნაყოფიერ და მდიდარ ქვეყანას და არაფერს ზოგავდნენ მის ხელში ჩასაგდებად.

ჩვენ თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ ქართველი ხალხის ყველა ფენის კულტურა ფრიად მაღალ დონეზე დგას. ჩვენ დავინახეთ, თუ რა შესძლებია ხალხს სოციალიზმის პირობებში ქვეყნის დოვლათის შესაქმნელად და ეროვნული კულტურის ასაყვავებლად. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველი ხალხი, უმკვლად, მშვენივრად ასრულებს თავის როლს და ქმედითი წვლილი შეაქვს იმ ბრძოლაში, რომელსაც მისი

დამსკოს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორთა დელეგაცია ეცნობა თბილისის უძველეს რაიონს.



დიადი საბჭოთა სამშობლო აწარმოებს, რათა ცხადყოს სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემაზე, რათა შექმნას ახალი, კაცობრიობის ისტორიაში ჭირარნახული საზოგადოება, სადაც უზრუნველყოფილია ყველა მისი წევრის ნივთიერ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ჩვენ დავათვალიერეთ თბილისის ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები და ვინახულეთ წიწამურში დიდი ქართველი პოეტისა და ხალხის მეჭირნახულის ილია ჭავჭავაძის ობელისკი, ამართული იმ ადგილზე, სადაც ვერაგულად მოკლეს იგი მეფის დაქირავებულმა მკვლელებმა. ობელისკის კვარცხლბეკს შემოსხლომოდნენ პიონერები. ისინი ყვავილებს ჰგვანდნენ, — მასავით მშვენიერი იყვნენ და კეკლუცნი. გოგონები და ბიჭუნები ერთიმეორის შენაცვლებით ზეპირად წარმოთქვამდნენ პოეტის ლექსებს. მათი გამომეტყველება, ის იერი, რომლითაც ისინი ლექსებს წარმოთქვამდნენ, ფრიად ამაღლებებელი იყო და გულჩამწვდომი და მე თვალწინ წარმოვიდგა მათი ბედნიერი, ლალი და დიადი მომავალი.

ჩვენ ვეწვიეთ მეტალურგთა ქალაქ რუსთავსაც. აქ თვით მუშები არიან ქარხნის ბატონ-პატრონნი. იგი რამდენიმე წლის წინათ ააგეს და ახლა ქალაქში 60.000-მდე მცხოვრებია. არ შეიძლება ამ ქალაქის მშვენიერების სიტყვით გადმოცემა, შეუძლებელია აწეროს კაცმა მისი სახლები და ქუჩები, სკოლები და პარკები, საავადმყოფოები და კულტურის კერები. იგი ცოცხალი ნიმუშია იმისა, თუ რისი გაკეთება ძალუძთ უბრალო ადამიანებს როცა ისინი თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს. ამ თვალწარმატებელ ქალაქში ჩვენ სტუმრად მიგვიწვია ერთ-ერთმა მუშამ. მისი სახელია ამირანი. ჩვენმა ახალმა მეგობარმა ბევრი რამ მოგვითხრო თავისი ცხოვრების შესახებ. ეს უბრალო, მაგრამ გულღია და სტუმართმოყვარე მუშა არა მარტო ცოცხალი ნიმუშია იმ ახალი სულისა, რომლითაც ხასიათდება ქართველი ხალხის ყველა შვილი და რომელიც მდგომარეობს შემოქმედებითი და მშვიდობიანი შრომის სიყვარულში, არამედ ესაა, აგრეთვე, ცოცხალი ნიმუში დიადი საბჭოთა ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელისა, რომელიც, განურჩევლად იმისა, ქალი იქნება იგი თუ კაცი, სწავლული თუ კოლმეურნე, აღსავსეა მხნეობით, ენერგიით და ისწრაფვის განავითაროს თავისი სამშობლო მშვიდობისა და ხალხთა შორის ურთიერთმეგობრობის ნათელი გზით.





დურბანი თუმცა სამხრეთ-აფრიკის კავშირის პროვინციის — ნატალის მთავარი ქალაქი არაა, მაგრამ მის ქალაქებს შორის ყველაზე დიდია. ეს ქალაქი, შეიძლება ითქვას, სამხრეთ-აფრიკის კავშირის ერთადერთი კურორტია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს.

ზღვა, მუსონები და ტროპიკის სიანლოვე — აი ის ჯადოსნური რეცეპტი, რომელიც დურბანის პავს აძლევს სწორედ იმდენ სითბოს, რომ ის მხოლოდ სასიამოვნოდ ათბობს ადამიანს, და არ ასავათებს მას სიცხით. მზის პლაჟები შემოსალტულია საცურაოების უწყვეტი მწყობრებით, კლუბებითა და შესანიშნავი სასტუმროებით. ქალაქის არემარე სოლივით შეჭრილია ტყით დაფარულ მაღალი მთის კალთებში.

ასეთ კეთილმოწყობილ პლაჟზე შესვლა უფასოა. ოღონდ თუ მოისურვებთ მოხერხებულ შეზღოვნაში ნახევარი საათი დაისვენოთ და ზღვის ზვი-



რთების თამაშისა და იალქნიანი ნავეზის სრბოლის თვალწარმტაცი სანახაობით დატკბეთ, თქვენ მოგიხდებათ ერთ ჩეხურ კორუნამდე ამის საფასურის გაღება. მაგრამ პლაჟის რბილი სილა ასევე სასიამოვნოა და ამასთანავე მას ის უპირატესობა აქვს, რომ შეგიძლიათ მასში იგორაოთ, სილის ხევი დააყენოთ, მოსწორებულ სილაზე თქვენი მომავალი ოცნებანი და უნახავი ქვეყნების კონტურები დახატოთ. მერე ყოველივე ეს მოშალოთ და თავიდან დაიწყეთ, ანდა მოიგონოთ, როგორც ეს ჩვენ დაგვემართა, ორი დღის წინათ ბაზუტოლენდში რომ ვიყავით, იქ, მაღალ მთებში როგორ ვიყინებოდით და საბარგედან საბნებიც კი ამოვალავეთ. დურბანის ამინდზე წლის დროის ცვლილება არავითარ გავლენას არ ახდენს.

მაგრამ სამხრეთ-აფრიკის კავშირის ეკონომიკისთვის ზღვის სხვა, სანია-

აფრიკის რესპუბლიკაში ცხოვრობენ, მხოლოდ 14 ათასი იყო, მაშინ, როდესაც ნატალში ინდოელების სამი მეოთხედია თავმოყრილი, საიდანაც დიდი ნაწილი დურბანში ცხოვრობს. ეს შემთხვევითი როდია.

როცა გასული საუკუნის შუა წლებში ინგლისის ახალგაზრდა კოლონიაში — ნატალში შაქრის ლერწმის პლანტაციების გაფართოებას შეუდგნენ პლანტატორებმა ბრიტანეთის მთავრობისგან მიადღწეს იმას, რომ მჭიდროდ დასახლებულ ინდოეთიდან მოზიდული ყოფილიყო იაფფასიანი სამუშაო ძალა. პლანტაციებში ადგილობრივი ზანგების ჩაბმის ყოველგვარმა ცდამ თითქმის არავითარი შედეგი არ გამოიღო, რადგან ზანგები მიჩვეული იყვნენ თავისუფალ მწყემსურ ცხოვრებას. და აი, 1860 წელს ნატალის ნაპირებს მიადგნენ პირველი ხომალდები

აქვს და რომელს შავგერმანი „ევროპელი“ წვერი იძულებული ხდება თავისი „არაევროპელი“ ძმები და დები მხოლოდ ღამით შოინახულოს, მაღულად, რომ ფტრადრბაარ დასწამონ და ხათბალაში არ ჩავარდეს.

დისკრიმინაცია იქამდე მიდის, რომ არაევროპელი მოსახლეობის ელემენტებს ერთმანეთზე აქეზებენ. ასე, მაგ., მულატს სძულს ზანგი, რომელსაც დააცივით „კაფრს“ უწოდებს, ე. ი. ვე-ლურს, წარმართს. ზანგები მეტადრე კაფრებისა და ზულუსების ტომებს რომ ეკუთვნიან, რომლებიც თავისი სუფთა სისხლითა და ძველი ტრადიციებით ამყობენ, მულატებს გადაგვარებულ ადამიანებად თვლიან. ინდოელები, თავის მხრივ, ერთზედაც და მეორეზედაც უფრო მაღლა აყენებენ თავის თავს, ამით უფრო მეტად აღრმავენ ზანგებსა და მათ შორის გათხრილ

„ფერადი ზღუდე“ და სისხლის კლასი

იჩქი პანზელა და მიროსლავ ზიკონი

დაგდეთ სახე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რბილი პლაჟები და გამაგრებელი ზვირთები.

დურბანის ნავსადგურმა უკვე მრავალი წლის წინათ ჩამოართვა კეიტაუნს პირველობა ტვირთის ტონაჟში და გამარჯვებული გამოვიდა მგზავრების გადაზიდვაშიც. ნავსაბელების სიგრძე აქ ათი ათას მეტრს შეადგენს. 1947 წელს აქ დატვირთული იყო ექვს მილიონამდე ტონა. უზარმაზარი ელექტორები 42 ათას ტონა ხორბალს იტვირთენ. ნახშირის ნავსაბელების მექანიკური მოწყობილობა უზრუნველყოფს საათში 2.300 ტონა ნახშირით დატვირთვას.

დურბანი სამხრეთ-აფრიკის კავშირის პირველი თანამედროვე ნავსადგურია. ეს უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, რომ მისი ყურე ღრმადაა შეჭრილი ხმელეთში, მაგრამ ყველაფერი ეს დურბანის ერთ-ერთი სახეა, მისი გარეგნული ნიღაბი, რომელსაც გადაკრული აქვს ოქროს ფოლგის სიფრიფანა ფენა.

ამ საფარის ქვეშ დურბანი სულ სხვანაირია.

პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ დურბანის ქუჩებში ორანჯის რესპუბლიკიდან ჩამოსვლის შემდეგ, — ეს გახლავთ უამრავი ადამიანის ბრინჯაოს სახეები მკვეთრად მოხაზული პროფილითა და არწივებური ცხვირით: მამაკაცები ფრესკებითა და დოლბანდებით თავზე, შავთმიანები და ნუში-სებრი ფართოთვალეზიანი ღამაზი ქალები, გახეულნი მსუბუქ პირბადეში, ჯანსაღი ბავშვები, თითქოს წითელი ხისგან გამოკვეთილნი. ესენი ინდოელები არიან. ამავე დროს მეზობელ ორანჯის რესპუბლიკაში კანონით მათ სასტიკად აკრძალული აქვთ ამ რესპუბლიკის მიწა-წყალზე მუდმივი ცხოვრება. 1936 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აღწერის დღეს ორანჯის რესპუბლიკაში 300 ათასი ინდოელი-სგან, რომლებიც საერთოდ სამხრეთ-

მრავალრიცხოვან ინდოელთა ოჯახებით.

„ეს ნაზიჯი, — ცინიკურად განაცხადა 1946 წ. სამხრეთ-აფრიკის კავშირის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ სმეტსმა, — ყველაზე დიდი შეცდომა იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ამიტომ ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ნაწილობრივ მაინც ავიცილოთ თავიდან მისი დამღუპველი შედეგები“. და აი გაიცა განკარგულება — კიდევ უფრო გამწვავდეს დისკრიმინაციული პოლიტიკა მოსახლეობის არაევროპული ელემენტების მიმართ.

„ფერადი ზღუდე“, რომელიც სამხრეთ-აფრიკის კავშირში გამოჰყოფს თეთრკანიან მოსახლეობას — ინგლისელებსა და აფრიკანდერებს, ბურების შთამომავალთ, — არაევროპულ მოსახლეობისგან, გადაუღებავ დაბრკოლებად იქცა. ქვეყანაში მოქმედებს კანონი, რომლითაც 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესჯება მღვდელს, თუ ვინიცობა იგი ჯვარს დაწერს თეთრკანიანს „არაევროპული წარმოშობის“ ქალზე, თუნდაც ერთი წვეთი უცხო სისხლი სჩქეფდეს მის ძარღვებში. ზანგს სიკვდილით დასჯა მიუღის თეთრ ქალზე დაქორწინებისათვის, ექიმს აკრძალული აქვს თეთრკანიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო სისხლის გადასხმა, თუნდაც ხელთ ჰქონდეს შავკანიანი დონორის სისხლით სავსე ამბულები. ზანგი, ინდოელი, ან მეტისი ვერ გაბედავს ჩაგდეს იმ ვაგონში თუ ავტობუსში, რომლებზეც გამოყოფილია თეთრკანიანებისთვის. „ფერადები“ ვალდებული არიან იცხოვრონ იზოლირებულ კვარტალებში, ანუ ჰეტოში, ცალკე თეთრკანიანების მოსახლეობისგან. ფერად კანს იმდენად დიდი ყურადღება ექცევა, რომ ერთი და იმავე ოჯახის წევრები ხშირად დაყოფილი არიან „ევროპელებად“ და „არაევროპელებად“ — იმის მიხედვით, რომელ მათგანს მთეთრო სახე

უფსკრულს და ხელს უშლიან პროგრესულ ორგანიზაციებს გაშალონ საერთო ბრძოლა დისკრიმინაციული კანონების წინააღმდეგ.



თუ როგორ გამოიყურება „დემოკრატია“ სამხრეთ-აფრიკაში, ამას მოწმობს მისი პარლამენტის შემადგენლობა. ამ პარლამენტში 153 დეპუტატია, აქედან 150 დეპუტატი წარმოდგენილია მთელი მოსახლეობის 20 პროცენტით. დანარჩენი 3 დეპუტატი წარმოდგენილი არიან ინდოელები და მულატები. მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ეს სამი დეპუტატი არჩეულია უკლებლივ ყველა ინდოელის ან მულატის მიერ! ხმის უფლებისთვის საჭიროა გქონდეს 50 გირვანქა სტერლინგი წლიური შემოსავლისა, ან მოგებოვებოდეს 75 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ქონება.

სამხრეთ-აფრიკის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს კი, მოსახლეობის 70 პროცენტს — რვა მილიონამდე ზანგს პარლამენტში არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავს.

ჩეხურიდან თარგმანა
შალვა გვინიძე



საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთ ქვეყნების განყოფილებაში ექსპონირებულია აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მრავალი ნიმუში.

უურნალ „დროშის“ ამ ნომრის ჩანართ გვერდებზე ვხედავთ ზოგი მათგანის ფოტორეპროდუქციებს.



მინიატიურა. აკვარელი შეზრულებული ბრინჯის კალდზე. ჩინეთი. XIX საუკ.




საკმევი. ირანი. XVIII საუკ.

ხაზზე დამკვრელი. ირანული მხატვრობა. XVIII საუკ.



ჩინეთის საავიაციო ქარხანაში



ჩინელი ტრაქტორისტი ქალი



თუ კი შენს ძახილს არვინ გაიგებს, —
 გულს ნუ გაიტებს, უვალ გზაზე მარტო გასწიე!
 თუ კი ჭაბანნი, შიშმორეულნი,
 ზურგს შეგაქცევენ ხმის გაუღებლად, —
 გახსენ გული და იდუმალი თავად სიქვი
 სიტყვა!

თუ კი გულადიც უკან დაიხევს,
 თუ კი ძნელ გზაზე ხელს არავინ
 შემოგაშველებს,
 შეუპოვარმა, უვალ გზაზე მარტო გასწიე!
 თუ კი წყვილიაი მოიცავს ყოველს,
 თუ ქარიშხალში თავშესაფარს არავინ
 მოგცემს, —


ელვით აინთე გულისგული,
 შეუპოვარმა, უვალ გზაზე მარტო გასწიე!

დე, ჩემგან დარჩეს ნატამალი მცირეზე მცირე,
 რომ შე შემეძლოს სასოება: შენ ხარ ყოველი!
 დე, შემემუსროს გულის ნება დაუთრგუნველი,
 რომ შენი ტკბილი მეოხებით ვიარო მუდამ!

დე, ჩემგან დარჩეს ნატამალი ქრთილის ოდენა,
 რომ ვერასოდეს შევიძლო მე შენი დაფარვა!
 დე, ყველა ხუნდი და ბორკილი ტანზე
 შემაცვდეს,

რომ შენგან ტყვექმნილს
 მხოლოდღა შენი სიყვარულის ბორკილი მდოს!

თარგმნა
 თ. ჩხენკელი



ქრესა „დროება“ ინდოელი ზსხუბ

ინდოელი ხალხის აუტანელი, მძიმე მდგომარეობა მთელი მსოფლიოს მოწი-
 ნავე საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობდა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ
 ინგლისელ კოლონისტებს, ააშკარავდნენ მათ სიმხეცეს და ნამდვილ
 სახეს. ამ მხრივ საინტერესოა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-
 გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები, სადაც ნათლად ჩანს ქართველი პროგ-
 რესული საზოგადოების აზრი და ხმა მიმართული ინგლისელ კოლონისტების წი-
 ნაღმდევ. ამ დროის პრესაში კარგად ჩანს, თუ როგორ ექომაგებოდა ჩვენი ხა-
 ლხი ინდოელებს, თუ როგორ გული შესტიკოდა მას ინდოეთზე და მის ხალხზე.

ვით, რა ღონისძიებითაც შეიძლება ხალხს გამოაცალეს ყოვლისფერი საკუ-
 თრება, ცარიელზე დასვეს, ლამის სამუშაო მიწაც აღარა აქვთ, რომ მოხნან და
 მოთოსონ“ (იქვე გაზ. გვ. 4). შემდეგ ავტორი ეხება სერიოზულ, მტიკინეულ
 ნაციონალურ საკითხს, რომ ინგლისელები ქვეყნის დაპყრობას აღარ დასჯერდ-
 ნენ და ხალხს მშობლიურ ენასა და სარწმუნოებას ართმევენ: „...ამას ზედ დაუ-
 მატოთ კიდევ ანგლიელების ცდილობა, რომ დამორჩილებული ხალხი სრულე-
 ბით გადაცვალონ, რომ საკუთარი იმათი ენა დააკარგვიონ, და ზნე და ჩვეუ-
 ლება თავიანთი მიაღებინონ, — ამ საქმის ასრულებას ანგლიელები სხვადასხვა
 გზით შეუდგნენ“ (იქვე).

ჩვენ ორიოდ ფაქტს მოვიყვანო შემოთქმულის ნათელსაყოფად.
 1866 წლის გაზეთ „დროების“ № 27-ში მოთავსებულია ბ. შვილის წერილი სა-
 თაურით „ანგლისი მფლობელობა ინდოეთში“. ეს წერილი სამაგალითოა თავისი ში-
 ნარსით და მიზანდასახულობით. წერილის შესავალ ნაწილში ავტორი მკითხველს
 მოკლედ აცნობს მსოფლიო ხალხთა ცხოვრებას და შენიშნავს: „...ვის არ დაუ-
 დონდება და დაუძიმდება გული, როცა შეხედავს დამონებული ხალხის მდგო-
 მარეობას მფლობელების ხელში; მაგარი და ქვის გული უნდა ჰქონდეს იმ კაცს,
 ვისაც ეს არას არ აგრძნობინებს და გარყვნილი და გაფუჭებული ზნეობა, ვისაც
 ეს არას არ ჩააგონებს“ (გაზ. „დროება“ 1866 წ. № 27, გვ. 4). ამ შესავალის
 შემდეგ, ავტორი სასტიკად ამართახებს ინგლისელ კოლონიზატორებს, რომლებ-
 მაც, დაიპყრეს რა ინდოეთი, მაშინვე დაუწყეს ადგილობრივ მცხოვრებლებს
 „ტივინის წოვა“ და „სრული ბრტყენა და გლეჯა“. ავტორს კარგად აქვს გაგე-
 ბული კოლონისტების ნამდვილი სახე, მათი ყაჩაღური მიზნები... „პირველათ
 სხვადასხვანაირის დაპარაკით, თათბირებით და განკარგულებით ხალხს აჯერე-
 ბდნენ, რომ ჩვენ რასაც ჩავდივართ სულ თქვენი სარგებლობისათვისაო, ჩვენ
 არაფერი გვინდაო, ოღონდ თქვენ კეთილ-დღეობაში და კარგათ იყვენო“. სინამ-
 დვილემ კი, განაგრძობს ავტორი, „...თავიანთი ფეხის უფრო მოსამაგრებლად,
 ანგლიელებმა ინდოეთში გაგზავნეს უმრავლესი ჯარი, რიცხვით 200.000 კაცი.
 მითომ იმისთვის, რომ ხალხი არავინ შეაწუხოსო. ის კი არა თუ იმათ სახეში
 ისა ჰქონდათ, რომ ხალხში მოძრაობა მოხდა რამე, მაშინვე ათოვ-იარაღით, ძა-
 ლით ხმა ჩავაქმენდინოთო, რაც რამდენჯერმე კიდევ ჩაიღინეს“ (დასახ. გაზ. გვ. 4).

და. ბოლოს, ავტორი სწორ დასკვნას აკეთებს, თუ რა მიზანი აქვს ინგლისს
 ინდოეთში: „ანგლიამ ინდოეთი დაიმორჩილა სახელისთვის და კეთილის ყოფი-
 სათვის კი არა, მარტო სარგებლობისაიყვის; იმის ძალასა და შეძლებას თავისა-
 კენ ეწევა, ჯიბებს ივსებს იმათი ქვეყნის სიმდიდრითა და ამით ჰკვებავს თავის
 არისტოკრატიას და ჯარს“ (იქვე). მართლაც, ცნობილია, რომ ყოველი მესამე
 ინგლისელი ინდოეთის ხარჯზე ცხოვრობდა, ხოლო როგორც კ. მარქსი შენიშნა-
 და, ინგლისის გაბატონებული კლასების ბედნიერება დამყარებული იყო ინდოე-
 თის ხალხის უბედურებაზე.

ცნობილია, რომ ინგლისი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ადგილო-
 ბრივ პატრიოტთა გამოსვლებს, თავისუფლების მძიებლებს XIX საუკ. I ნახევ-
 რიდან დაწყებული დიდ გამოსვლები იყო ბენარესში, ბიჰარში, ბენგალიაში და
 ფენჯაბში, მაგრამ ინგლისმა ყველა გამოსვლა სისხლში ჩაახ: ა.

ქართველ პროგრესულ საზოგადოებას სჯეროდა, რომ დღეს თუ არა ხვალ,
 თავისუფლებისმოყვარე და გამრჯე ინდოელი ხალხი, თავისი აქტიური ბრძო-
 ლით, მოიშორებდა კოლონიზატორთა მონობის უღელს. ინდოელი ხალხის ბრძო-
 ლას კოლონისტების წინაღმდეგ გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ქართველი
 საზოგადოებრიობა და ქართული პრესა სიხარულით იტყობინებოდა ყოველ ბატ-
 რიოტულ გამოსვლას.

ინგლისელები თავიანთ ბოროტ ზრახვებს სამხედრო ძალაზე დაყრდნობით
 ანხორციელებდნენ, რამაც ხალხი უკიდურეს სიღატაკში ჩაავდო: „ერთის სიტყ-


1883 წლის გაზეთი „დროების“ № 129-ე პირველ გვერდზე ათავსებს საყუ-
 რადღებო ცნობას: „ინგლისის უფლებას თანდათან აკლდება ძალა ინდოეთში,
 რომლის ხალხი დღითიდღე ძლიერდება და მოსვენებას არ აძლევს ინგლისის
 მართებობას. მართლაც ერთობ სამძიმო იქნება ინგლისის ეკონომიურის და დიპ-
 ლომატიური ინტერესებისათვის ინდოეთის განთავისუფლება ინგლისის მფლობე-
 ლობისაგან. მაგრამ, რა უნდა გააწყოს ინგლისმა ამ ისტორიული მოვლენის წი-
 ნაღმდევ?“

ავტორი სიხარულით გამოხატავს ინდოელი ხალხის გამოღვიძებას. მას კარ-
 გად აქვს გაგებული, რომ რაკი ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლები
 ორგანიზებულ სასიათს მიიღებს, ეს საფუძველს შეუშაადებს კოლონიური რეჟი-
 მის დამსხვრევას. ინდოელი ხალხის მღელვარება გამოწვეული იყო უსამართლო-
 ბით და მიმართული იყო კოლონიურობის წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, რომ-
 ლებმაც: „თავი ისახელეს ათასგვარი ბოროტქმომქმედებით და ბარბაროსული ქცე-
 ვით“ (გაზ. „დროება“ 1883 წ. № 129 გვ. 1).

ავტორი დარწმუნებულია, რომ ინდოელი ხალხი მიაღწევს სრულ თავისუ-
 ფლებას: „ინდოეთის ხალხი ეძიებს თვით მართელობას და იმედოც აქვს რომ მი-
 აღწევს კიდევ თავის სურვილს“ (იქვე), და „ინდოეთის განთავისუფლების საქმეს
 სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალი მომავალი თაობა, რომელიც გრძნობს თავის სამ-
 შობლოს დაჩაგრულ და მონებრივ მდგომარეობას და ცდილობს მოსპოს ასეთი
 საქმეთა წყობილება“ (იქვე).

აი, ორიოდ ფაქტი იმის დასადასტურებლად, თუ რა სიმპათიით იყო განწ-
 ყობილი ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა ინდოელი ხალხისადმი, და რო-
 გორ ჰკიცხავდა კოლონიზატორთა ძალმომრეობას ქართული პრესის ფურცლებზე.

გურამ ბასიტაშვილი,
 ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერმუშაკი.





ჩინურ ყოველკვირეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „დრუჟბას“ სცემს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება ბეკინში. ამ ჟურნალში იბეჭდება მრავალი საინტერესო სტატია, მოთხრობა, ლექსი, ნარკვევი, მიმოხილვა, ინფორმაცია, ფოტოლოკუმენტი, სურათებისა და მხატვრული პლაკატების რეპროდუქციები. ყველაფერი ეს ძალიან ეხმარება საბჭოთა მკითხველს კიდევ უფრო მეტად გაიცნოს 600 მილიონიანი დიდი ჩინეთი.

აი, ხელში ავიღეთ ოცდამეექვსე ნომერი და ინტერესით წავიკითხეთ მწერალ ლა ბაუ-იუს „მგზავრის ჩანაწერები“. მწერალი მოგვითხრობს ახალ ქალაქ ფულაერძის შესახებ, რომელიც გაშენდა შორეულ პროვინციაში ხეილუნძიანში. იქ, დასავლეთ მონგოლეთის უკიდურეს ტრამალეზში, მდინარე ნუნძიანის ნაპირებზე აიგო „ჩინეთის მაგნიტოგორსკი“, „ჩინეთის დენბროსტროი“, „ჩინეთის რუსთავი“ — ფულაერძი.

ფულაერძი რუსთავე ჯემროსია. გეოდეზური ხელსაწყოებიანი ადამიანები მხოლოდ 1950 წლის გაზაფხულზე გამოჩნდნენ დაურების ყრუ სოფლის მახლობლად. მათ მეთაურობდა სანდომიანი სახის ქალი, რომელიც გამოწყობილი იყო სახალხო განათვისუფლებელი არმიის მებრძოლის ფორმაში. დიან, ამხანაგი ლინ ნა — მშენებლობის უფროსი და მომავალი მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, წლების მანძილზე ანტიიპონური გაერთიანებული არმიის მებრძოლი გახლდათ. იგი ვაკაცურად იბრძოდა ხეილუნძიანის მთებსა და ხეობებში. იმავე გმირული ლაშქრობისა და ბრძოლების მონაწილე იყო მწერალი ლიუ ბაი-იუს. ასე რომ მკაცრი დირექტორი ლინ ნა, მიუხედავად თავისი მოუტყველობისა, უარს ვერ ეტყოდა ძველ ფრონტულ ამხანაგს გასაუბრებლად, და აი მან უამბო ბაი-იუს.

— როცა ჩვენ აქ მოვედით, სრული სიცარიელე დაგვხვდა, — ნამდვილი მიყრუებული, მივარდნილი მხარე. შევეუდექით მუშაობას, და მალე სხვადასხვა ქალაქებიდან — ბეკინიდან, შანხაიდან, უსიდან, შანტოუდან, ტაიიუნიდან, ჩანჩინიდან, ბენსიდან უწყვეტ ნაკადად წამოვიდა ხალხი გვიანტური საქმის წამოსაწყებად და დასავგირგინებლად. არც ერთ მა-

ამხანაგები მათ ძე-დუნი და პინ ჭენი შისანლინის წყალსაცავის მშენებლობაზე მუშაობის დროს.



თვანს, არც ხანში შესულთ და არც ახალგაზრდებს, წინათ არასოდეს ასეთ შორეულ ჩრდილოეთში არ უმუშავებიათ, მაგრამ თვითველ მათგანს მკერდში მგზნებარე გული უცემდა. თვითველს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: „ჩვენ ამ ტრამალეზში უნდა ავაგოთ ახალი ტიპის ქარხანა, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა არც ჩინეთში, არც მთელ აზიაში“.

ფულაერძის მშენებლებს პირველი ბრძოლის გადახდა მოუხდათ საშინელ ცინვასთან და ძვალსა და რბილში გამტან სუსხიან, ხანგრძლივ ქართან. გეოდეზისტების ხელსაწყოები ცინვლის ქერქით იფარებოდა, ჭაბუკები და გოგონები ამ ქერქს თავისი სუნთქვით ათბობდნენ და აცლიდნენ. მაგრამ გამოუცდელი გეოდეზისტების გამო ისინი ამ დროს ტუჩებს ადებდნენ ხელსაწყოს, კანი დათუთქულივით უსკდებოდათ და სისხლის წვეთებით იღებებოდა თოვლი. მათ შეუპოვრობას, რა თქმა უნდა, ეს ვერ გატებდა. დამითაც კი აწარმოებდნენ ახალგაზრდები თოვლით დაფარულ სამშენებლო მოედნების გეოდეზურ გადაღებებს. შორიახლოს გროვებოდა მგლები ხროვა. გაისმოდა მათი ნაღვლიანი ყმული, თითქოს არ მოსწონდათ, სიმყუდროვე რომ დაერღვათ. ადამიანები კი განაგრძობდნენ მუშაობას დღისით თუ ღამით, ყოველგვარ ამინდში.

გაკაყვადთ ფოლადის გზები, ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალას, გუგუნებდნენ მანქანები, აქეთ-იქით დაჰქროდნენ სატვირთო მანქანები. თანდათან, სულ მალა და მალა ადიოდა ქარხნის კორპუსები, იდგებოდა ქარხნის მოწყობილობა... ბუნებამ ქედი მოიხარა ადამიანთა შეუდრეკელი ნებისყოფის წინაშე. წყნარი მდინარის ნუნძიანის ნაპირებზე ახმაურდა ახალი ქალაქი.

მეტალურგიული ქარხნის შემდეგ ფულაერძში შეუდგნენ ჩინეთში პირველ მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის აგებას. თავდაპირველად ნავარაუდები იყო, რომ ქარხნის ვეება ნაგებობანი მხოლოდ 1950 წელს აღმართებოდა. ამჟამად კი მთელი ძალ-ღონე იქითკენაა მიმართული, რომ ამავე 1958 წელს ყველა სამქრო ამუშავდეს. თითქოს ფრთებშესხმულნი არიანო, მიჰქრიან წინ ადამიანები, შენდება მათი ქალაქი ფულაერძი.

— ჩვენი ქალაქი, — სიყვარულით ამბობს ლინ ნა, — მზედ მეჩვენება, რომელიც ეს-ესაა ახლა ამოიწვერა პორიზონტზე.

ამ ქალაქიდან ცოტა მოშორებით, თვალუწვდენ ტრამალეზში, ადამიანები თხრიან მიწას, დროგამოშვებით გაისმის აფეთქებათა გუგუნე. აქ გაკაყვთ სარწყავი არხები. ტრამალეზში უნდა იქცნენ ბრინჯის ზურმუხტოვან მინდვრებად.

ახალი ჩინეთის სიამაყეს ამჟამად წარმოადგენს, აგრეთვე, შისანლინის წყალსაცავი. ყველა ცენტრალური გაზეთი განუწყვეტილად აქვეყნებს მასალებსა და ცნობებს შისანლინზე. აქეთკენ მიეშურებიან მეცნიერ-მუშაკები, მწერლები, პოეტები, მხატვრები. საყოველთაოდ ცნობილი გახდა სხარტული გამოთქმა:

„ბეკინელი არა ხარ, თუ შისანლინის წყალსაცავზე არ გიმუშავია“.

ბეკინის მშენებლობის წინანდელი გეგმის თანახმად, უზარმაზარი წყალსაცავი, ნამდვილი ზღვა უნდა შექმნილიყო ჩინეთის დედაქალაქის მახლობლად მესამე ხუთწლედში. ამ საქმეს სულ ცოტა ხუთი-შვიდი წელიწადი დასჭირდებოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ექვსიოდე თვეში — მეორე ხუთწლედის პირველი წლის პირველ ნახევარში ბეკინის მცხოვრებლებმა დაასრულეს ყველა ძირითადი სამუშაო შისანლინზე.

ჩინელები ხუმრობით ამბობენ — აქ ერთი „საიდუმლოება“ არისო. მაგრამ ეს საიდუმლოება ყველა-სთვის ცნობილია — წყალსაცავის მშენებლობაზე ყოველდღე ათიათასობით მოხალისე მუშაობს. 21 იანვარს, როცა ათასობით და ათიათასობით ოჯახი ემზადებოდა „გაზაფხულის დღესასწაულის“ შესახებდრად (ეს ერთ-ერთი გრანდიოზული ტრადიციული დღესასწაულია, რომელსაც ოდითვე აღნიშნავენ ჩინეთში), მოხალისეთა არმიამ იერიში მიიტანა გაყინულ ყამირსა და ქვა-ლორლიან ნიადაგზე. მშენებელთა პირველი რაზმები შედგებოდა უმთავრესად სახელმწიფო დაწესებულებათა და პარტიული ორგანიზაციების მუშაკებისგან, სტუდენტებისგან, სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ოფიცრებისა და მებრძოლებისგან. თავდაპირველად სამშენებლო მოედანზე არ იყო გზა, არც ელექტროგანათება. არც მიწისმთხრელი მანქანები. იყო მხოლოდ ათასობით მარჯვე ხელი, ათასობით გმირული გული.

წყალსაცავის მთავარი ნაგებობა — კაშხალი ორ მთას შორის უნდა ყოფილიყო სიგრძით ექვსასი მეტრი და რვა-ათსართულიანი სახლის სიმაღლის. კაშხალს აგებდნენ ქვიშითა და ხრეშით. ამ მასალას ზურგკალათებით ეზიდებოდნენ ათეული და ასეული მეტრის მანძილზე.

შისანლინის მშენებლობის მრავალი ბრიგადა და უბანი სახელოვანი საბჭოთა ადამიანების სახელებს ატარებენ — ზოია კოსმოდემიანსკაიას, ბაველ კორჩაგინის, ლიზა ჩაიკინას და ა. შ.

წყალსაცავის საზოგადოებრივ ფიზიკურ შრომაში იმთავითვე მხურვალე მონაწილეობას იღებენ ამხანაგები მათ ძე-დუნი, ლიუ შაი-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე და პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე, საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების საელჩოთა მუშაკები.

ფოტოსურათი, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „დრუჟბის“ ივნისის ერთ-ერთ ნომერში, ასახავს მათ ძე-დუნის მუშაობას კაშხალზე. მას უბრალოდ იარაღი ფერის „ქენმინფუ“ და ქსოვილის მსუბუქი ფეხსაცმელი აცვია. იგი ენერგიულად მუშაობს ბარით ხელში — თხრის მიწას და კალათში ჰყრის.

ჯოუ ენ-ლაის უფრო ეხერხება ერთთვლიანი ხელურიკათი ქვების ზიდვა. რევოლუციური ბრძოლების დროს ჩინეთის რესპუბლიკის პრემიერი ერთხელ ცხენიდან გზდმოვარდა და მარჯვენა ხელი მოიტეხა. მას აქეთ, მარჯვენას იგი ხეირიანად ვერ ხმარობს, და მაინც ჯოუ ენ-ლაიმ გულმოდგინედ და შეუსვენებლად იმუშავა რამდენიმე საათი.

მათ ძე-დუნი დიდ დროს ანდომებს თავისი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში სიარულს. ჟურნალი გვიამბობს,



რომ ნაო შორეულ მხარეებსაც არ სტოვებს უყურადღებოდ და სადაც ჩავა, აუცილებლად მონაწილეობას იღებს ფიზიკურ შრომაში.

ერთხელ ამხანაგები ვან ში-სიანი, გუი ჩენ-დო და მათ ძე-დუნი მივიდნენ ბაობინკოუსი დიდი სარწყავი სისტემის მშენებლობაზე. მდინარე ნეიძიანი აქ ძლიერ სწრაფია.

მათ ძე-დუნი გადაიხარა და დააქვრდა წყლის სწრაფ დინებას კაშხლის ვიწრო გასასვლელში, რომელსაც პოეტურად „ძვირფასი ბოთლის ყელი“ ეწოდება. მათ დაინტერესდა, აქ რა სიღრმე იქნებოდა და გადაუცურავს თუ არა ვინმეს ამ ადგილასო.

— სიღრმე რვა მეტრს აღწევს, — უპასუხა სამუშაოთა უფროსმა, — და ჯერ არავის უცდია გადაცურვა.

მათს გაეცინა და თქვა:

— მე კი მინდა ვცადო!

ამის გაგონებაზე მშენებლები განცვიფრდნენ და თან შეეშინდათ კიდეც. მაგრამ ამ დროს მოაგონდათ, რომ შარშანწინ მათ გადაცურა ჩინეთის უდიდესი მდინარე იანძი, და მიხვდნენ, რომ ბაობინკოუს ვიწრო გასასვლელის გადაცურვა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ეს ძალიან კარგია, რომ ჟურნ. „დრუჟბას“ რედაქცია დროდადრო უამბობს საბჭოთა მკითხველებს დიდი რევოლუციონერის მათ ძე-დუნის ცხოვრებასა და მუშაობაზე.

...ხდება ასედაც: ავიღე ხელში ჟურნალის ოცდამეცხრე ნომერი და მომჩვენა, რომ გარეკანის ფერადი ფოტო ასახავს მთიანი აჭარის ნაცნობ პეიზაჟს. ერთი წუთის შემდეგ მე თითქმის აღარ გვეჭვავდა, რომ ჩემს თვალწინ იყო ქობულეთის რაიონის სოფ. წყავროკას მათ ძე-დუნის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების ფოტოსურათი. მაგრამ გადაფურცლე ჟურნალი და გარეკანის მეორე გვერდზე წავიკითხე, რომ გარეკანის პირველი გვერდის ფოტოზე ასახულია პროვინცია ხუნანის ტუძიას ეროვნების გლეხების მუშაობა ჩაის პლანტაციაში. იმდენად დიდია მსგავსება ამ პეიზაჟებს შორის, რომ ადამიანი ადვილად შეიძლება მოტყუდეს.

ტუძია — ჩინეთში მოზინადრე პატარა ერების რიცხვს ეკუთვნის. ასეთი ერები ჩინეთში ორმოცდაათამდეა.

„მცირე“ ეროვნებანი აქ ზოგჯერ მრავალ მილიონ ადამიანს ითვლის და უზარმაზარი ტერიტორიები უჭირავთ. ნარკვევში „მდიდარი მხარე“ ჩინელი მწერალი ფენ ჯენი მოგვითხრობს: „სინძიანი-უიღურის ავტონომიური რაიონი — თვალწარმტაცი, ბარაქიანი მხარეა, რომელსაც უზარმაზარი ტერიტორია უჭირავს — შვიდჯერ მეტი ინგლისზე და სამჯერ მეტი საფრანგეთზე. ამავე დროს მას უკავია ჩინეთის ტერიტორიის მხოლოდ მეექვსედი ნაწილი. იქ ცხოვრობენ უიღურები, კაზახები, მონღოლები, თათრები, უზბეკები, ხუიციები, სიზო და სხვა ხალხთა წარმომადგენლები. ამ მხარის მთები ზღაპრულად მდიდარია. მათ ოდიოვო ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი ქვების საგანძურს უწოდებენ. მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით მიგვეგნო ამ საგანძურისკენ მიმავალი იღუმალი გზებისთვის“.

ყველა ორას თერთმეტი მნიშვნელოვანი წარმოება, რომლებიც ჩინეთის ეკონომიური მშენებლობის გულს წარმოადგენენ, იქნება საბჭოთა კავშირის მუდმივი და ყოველმხრივი დახმარებით. საბჭოთა ხალხი ამ მშენებლობებზე გიგანტურ შრომას ეწევა.

„სახალხო განათლების დარგშიც, — განაგრძობს ჟურნალი, — დიდი შრომა გასწიეს საბჭოთა სპეციალისტებმა, — მათ შვიდი ათასზე მეტი მასწავლებელი მოუშადადეს მოძმე ჩინელ ხალხს. ამაყად მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, თბილისის, რიგის საუკეთესო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში სწავლობს ექვსი ათას ოთხასი ჩინელი სტუდენტი.“

ჩვენთვის, ჩინელებისთვის, სიტყვა „სულიან“ (საბჭოთა კავშირი) — ყველაზე საყვარელი სიტყვაა; იგი სიმართლის, საიმედო დასაყრდენის და ბედნიერების უშრეტო წყაროს გამოხატავს სიტყვაა“.

საქართველოში მოზინადრე ადამიანებისთვის დიდად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჟურნალის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მასალები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ, თუ რა დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში.

ჟურნალის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ტრადიციული განყოფილება „მეგობრული ურთიერთობა“ იხსნება ლიუ ვეი-ჯოუს წერილით, რომლის სათაურია: „ბათუმი — ლანჯოუ“.

„მე მინდა ჟურნ. „დრუჟბას“ მკითხველებს გუამბო, — წერს ლიუ ვეი-ჯოუ, — ორი ოჯახის არაჩვეულებრივ მეგობრობაზე, რომელიც ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩაისახა თვალწარმტაცი შავი ზღვის ნაპირებზე, ბათუმში, და იმაზე, ეს მეგობრობა ორმოცდაექვსი წლის შემდეგ როგორ განვითარდა, მაგრამ უკვე არა ბათუმში, არამედ ჩრდილოდასავლეთ ჩინეთში.“

1957 წლის გაზაფხულზე ლანჯოუში საბჭოთა კავშირიდან ჩავიდა საბჭოთა სპეციალისტი იური მიხეილის-ძე ჯაგინოვი. არ გაუვლია დიდხანს და, ჯაგინოვმა მამისგან მიიღო წერილი. იგი თხოვდა ვაჟს, ჰომიძენ მანდ ჩემი ძველი მეგობარი — ჩინელი ლაუ ჯონ-ჯაუ (ანუ ლიუ ძიუნ ჯოუ), რომელიც 1911 წელს ბათუმში გაიცანი და რომლის შესახებ ღარაფერი ვიცი, რაც იგი სამშობლოში დაბრუნდაო.

ლაუ ჯონ-ჯაუ თავისი ოჯახით ბათუმს ჩამოსულა 1893 წელს ჩაის კულტურის გასამშენებლად და გამოსაყვანად, 1926 წელს კი უკან, თავის სამშობლოში დაბრუნებულა.

ჯაგინოვმა კითხვა-კითხვით გაიგო, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ლანჯოუს საზოგადოებაში მუშაობენ და-ძმა — ლაუ ჯონ-ჯაუს შვილები, რომლებსაც წინათ ბათუმში უცხოვრიათ.

მათი მამა 1941 წელს გარდაიცვალა. ახლა მამების მეგობრობა მეორე თაობაზე გადავიდა, „მაგრამ ჩვენს დროში, — წერს ლიუ ვეი-ჯოუ, — ჩვენი და ჯაგინოვების მეგობრობა მართო პირად სიმბათიებზე როდია აგებული. ჩვენ ახლა ვამაყობთ იმით, რომ



პროვინცია ხუნანის ტუძიას ეროვნების გლეხების მუშაობა ჩაის პლანტაციაში.

წარმოვადგენთ ერთ-ერთ რგოლს მეგობრობის იმ ურდევე ჯაჭვში, რომლითაც შეკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხი.

ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაწვრილებითაა ნაამბობი, თუ როგორ გადაიღეს პროვინცია ჯე-ძიან-ში, სადაც სახელმწიფოებრივი ჩაი „ლუნძინი“ გამოყავთ, ჩინელმა გლეხებმა ქართველ ნოვატორთა გამოცდილება.

ამხანაგ ვოროშილოვის ჩინეთში ყოფნის დროს ჯე-ძიანის მეჩაიეები სიამაყით უჩვენებდნენ მას ყათარზე გაშენებულ ჩაის ახალ პლანტაციებს. ჩინელებმა უთხრეს ამხ. ვოროშილოვს — ეს „მეგობრობის პლანტაციებია“. ჩვენ არ გვეკროდა, რომ ამ მთაზე შეიძლება ყათარის გაკეთება და ჩაის მოყვანა. მაგრამ საბჭოთა სპეციალისტებმა დაგვიმტკიცეს, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, და შედეგაც კარგი მივიღეთ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩინეთის ქალაქ ხუეიში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელმა ძინ ი-სიუნანმა თარგმნა და გამოსცა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის წიგნი „ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეტელოგია“. ეს წიგნი ათეული ათასი მეჩაიესთვის სახელმძღვანელოდ გადაიქცა.

ჟურნალში გამოქვეყნებულია, აგრეთვე, მარშალ ე-ძიან-ინის ლექსების ციკლი, ერთი ლექსი ამ ციკლიდან მიძღვნილია თბილისისადმი.

...ჩინელთა ძველი ჩვეულების მიხედვით შისანლინის წყალსაცავის კაშხალზე მათ ძე-დუნმა, ლიუ მათ-ციმ, ჯოუ ენ-ლაიმ და ჯუ დემ თავისი სამახსოვრო წარწერები გააკეთეს. ერთი მათგანით, რომელიც ჯუ დეს ეკუთვნის, გვინდა დავამთავროთ ეს ჩვენი მოკლე მიმოხილვა.

„დაძვრავთ მთებს, შევქმნით ზღვებს, ხალხი დიად საქმეთა შემოქმედია“.



ბაქოს გმირი კომისრები

გერასიმი ურსხალაძე



1917 წლის 31 ოქტომბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით აღვრთვებულმა ბაქოს პროლეტარიატმა საბჭოების დროსა ააფრიალა. ბაქოელი ბოლშევიკები მთელი თავიანთი ენერგიით შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლას. მაგრამ მათ უადრესად მძიმე ვითარებაში მოუხდათ მუშაობა. ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ გამოვიდნენ ამიერკავკასიის გაერთიანებული კონტრრევოლუციური ძალები და უცხოელი ინტერვენტები, რომლებიც ყველა ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა მოესპოთ სოციალისტური რევოლუციის ციხადელი მთელს ამიერკავკასიაში — ბაქოს საბჭოთა ხელისუფლება.

1918 წლის მარტში ბაქოს პროლეტარიატმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით განადგურა ანტისაბჭოთა აჯანყება, რომელიც მოაწვეს მუსავახისტთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა კონტრრევოლუციურმა პარტიამ. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აზერბაიჯანის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე.

იმვე წლის 25 აპრილს ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული იქნა ბაქოს გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭო, რომელშიც შევიდნენ მშრომელთა ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული ადამიანები. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა კომისარად დამტკიცებულ იქნა ს. გ. შაუმიანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად — პ. ა. ჯაფარიძე, საქალაქო მეურნეობის სახალხო კომისარად — ნ. ნ. ნარიშკინი, სახალხო მეურნეობის საქმეთა სახალხო კომისარად — ი. ტ. ფილეთოვი, სახმედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარად — გ. ნ. ყორღანოვი, იუსტიციის სახალხო კომისარად — ა. ბ. კარინიანი და სხვ.

უადრესად რთულ სამხედრო და პოლიტიკურ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს. მაშინ ამიერკავკასიაში ყველგან, გარდა ბაქოსა, კონტრრევოლუციის ბნელი ძალები ბატონობდნენ. მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში ბურჟუაზიასა და მემამულეებს მხარში ედგნენ მენშევიკები. დაშნაკები, ესერები და მშრომელი ხალხის სხვა მოღალატეები. პროლეტარულ ბაქოს დაძაბული ბრძოლა უხდებოდა არა მარტო ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალებთან, არამედ უცხოელ ინტერვენტებთანაც, რომლებიც ბაქოს დაპყრობისაკენ მიისწრაფვოდნენ. საბჭოთა ბაქო დიდ სიძნელეებს განიცდიდა სურსათის მხრიავე. იგი დიდ საბჭოთა რუსეთს მოწყვეტილი და კონტრრევოლუციური ძალებით რკალ-შემორტყმული იყო.

სახალხო კომისართა საბჭომ განახორციელა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავდა კაპიტალიზმის ეკონომიური საფუძვლების მოსპობას, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციას, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გადაყვანას.

უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციას, რომელიც განხორციელდა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 2 ივნისის დეკრეტის საფუძველზე. ბაქოს ბოლშევიკებმა, სახალხო კომისართა საბჭომ დიდი მუშაობა გასწიეს ნავთობის ამოდების გადიდებისთვის, ნავთით საბჭოთა რუსეთის მომარაგებისთვის. ნავთობის ამოდება თანდათანობით იზრდებოდა.

დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო, აგრეთვე, კასპიის სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია, რაც განხორციელდა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 5 ივნისის დეკრეტით. ამ დეკრეტის გატარებაში, ისევე როგორც ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისა და სხვა სოციალისტურ ღონისძიებების განხორციელების საქმეში, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. 1918 წლის 8 ივნისს ი. ბ. სტალინი ბაქოს სახალხო კომისარს წერდა: „კასპიის ფლოტის ნაციონალიზაციის საკითხში შეგიძლიათ გაბედულად იმოქმედოთ... შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ სახალხო საბჭო თქვენთან იქნება. ყველა ნათქვამი მიიღეთ არა როგორც ჩემი პირადი შეხედულება, არამედ როგორც ლენინის წინადადება, რომელსაც გუშინ მე ველაპარაკე ყველა აღძრულ საკითხზე პირდაპირი ხაზით“.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო დაუღალავად ზრუნავდა მუშათა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნით ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შემოღებულ იქნა რვა საათიანი სამუშაო დღე, ხელფასი მოემატა მუშებსა და მოსამსახურეებს.

მაგრამ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმე და დაძაბული ხდებოდა. გერმანულ-თურქი დამპყრობლები მუსავახისტთა კონტრრევოლუციური ძალებთან ერთად თანდათან უახლოვდებოდნენ ბაქოს. სასურსათო მდგომარეობა კატასტროფული შეიქმნა, რადგან ბაქო მოწყვეტილი იყო აზერბაიჯანის სოფლებს, საიდანაც ქალაქში პური შემოჰქონდათ. სასურსათო კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებდა მენშევიკების, ესერებისა და

დაშნაკების მოქმედება, რომლებიც მოკალათებული იყვნენ მომარაგებელ ორგანოებში და მავნებლობას ეწეოდნენ.

საბჭოთა რუსეთს, რომლის ტერიტორიაზე გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომის ცეცხლი, მაშინ არ შეეძლო ბაქოსათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა.

ივლისის ბოლოს პროლეტარული ბაქოს მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა. კონტრრევოლუციის რკალი მას უფრო და უფრო უახლოვდებოდა: დასავლეთიდან გერმანულ-თურქი დამპყრობლები უტევდნენ მუსავახისტების ბანდებთან ერთად, ჩრდილოეთიდან იმამ გოცინსკის ბანდები მოდიოდნენ, ხოლო ირანიდან ინგლისელი ინტერვენტები მოიწვედნენ. და, აი, ამ დროს მენშევიკებმა, ესერებმა და დაშნაკებმა, რომლებმაც კონტრრევოლუციური ბლოკი შექმნეს ბოლშევიკების წინააღმდეგ, ბაქოს საბჭოს სხდომაზე, 1918 წლის 25 ივლისს, კვლავ მოითხოვეს ინგლისელი ინტერვენტების მოწვევა ბაქოში. ს. შაუმიანმა, გ. აზიზბეკოვმა, პ. ჯაფარიძემ, ი. ზეინმა და სხვა კომუნისტებმა სასტიკად გაილაშქრეს მენშევიკ-ესერ-დაშნაკთა ბლოკის წინააღმდეგის წინააღმდეგ, გამოაშქარავეს ბლოკის მონაწილეთა მოღალატური მოქმედება, მათი მოთხოვნის დამლუბველი ხასიათი. მაგრამ ხმათა უმნიშვნელო უმრავლესობით საბჭომ მიიღო რევოლუციური უცხოელი ინტერვენტების მოწვევის შესახებ. მაშინ ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ ს. გ. შაუმიანის ხელმძღვანელობით განაცხადა, რომ სახალხო საბჭო იხსნის პასუხისმგებლობას იმ დანაშაულებრივი პოლიტიკისთვის, რომლის განხორციელებას მოითხოვდნენ კონტრრევოლუციური პარტიები. მიუხედავად ამისა, ბაქოს ბოლშევიკებს იარაღი არ დაუყრიათ. ისინი მთელი თავიანთი ძალდონით, სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

ბაქოს ბოლშევიკების, ბაქოს სახალხო საბჭოს სახელისწირო შეცდომა ის იყო, რომ მათ სათანადო ზომები არ მიიღეს მშრომელთა მოღალატეების — ესერების, მენშევიკებისა და დაშნაკების წინააღმდეგ, ძირშივე არ აღკვეთეს მათი კონტრრევოლუციური მოქმედება.

უცხოელი ინტერვენტების შემოტვისა და ესერ-მენშევიკ-დაშნაკების ძირგამომთხელი მუშაობის შედეგად ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დროებით დაეცა. 1918 წლის 31 ივლისს ბაქოს სახალხო საბჭომ სტეფანე შაუმიანის მეთაურობით თავისი რწმუნებანი მიიხსნა.

1918 წლის პირველ აგვისტოს კონტრრევოლუციურმა პარტიებმა შეადგინეს მთავრობა, ეგრეთ წოდებული „ცენტროკასპიის დიქტატურა“, რომელმაც ბაქო ხელთ ჩაუგდო ინგლისელ დამპყრობლებს. დაიწყო რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი საუკეთესო შვილების — ბოლშევიკების სასტიკი დევნა. საპყრობილები რევოლუციონერებით აივსო, მუშათა ყველა მონაპოვარი ერთი ხელის დაკვრით მოისპო. ინგლისელი ინტერვენტები ძარცვავდნენ ბაქოს, მტაცებლურად ეზიდებოდნენ ნავთსა და სხვა სიმდიდრეს.

ბაქოს ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს თავიანთი ძირითადი ძალების შენარჩუნებისათვის ევაკუაცია ასტრახანში. 14 აგვისტოს ღამით ბაქოს ნავსადგურიდან გავიდა 17 გემი, რომელსაც გზაში დაწვივნენ კონტრრევოლუციური მთავრობის „ცენტროკასპიის დიქტატურის“ მიერ დადგენებული სამხედრო გემები და აიძულეს უკანვე დაბრუნებულიყვნენ. საბჭოთა ნაწილები განიარაღებულ იქნენ. შაუმიანი, ჯაფარიძე, ყორღანოვი, ფილეთოვი, აზიზბეკოვი, ზეინი და ბაქოს სხვა კომისრები დაპატიმრებულ იქნენ.

15 სექტემბერს თურქმა დამპყრობლებმა და მუსავახისტთა კონტრრევოლუციურმა ძალებმა ბაქო ხელთ იგდეს. „ცენტროკასპიის დიქტატურის“ ჯარებმა და ინგლისელმა დამპყრობლებმა ქალაქი დატოვეს და კრასნოვოდსკში გადაბარდნენ.

ციხის გარეთ დარჩენილი ბოლშევიკები აშხ. ა. ი. მიქოიანის მეთაურობით ბაქოს კომისრების საპყრობილიდან განთავისუფლებას ახერხებენ. კომისრები, რომლებსაც ბაქოში სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა, კვლავ ასტრახანს მიემგზავრებიან, მაგრამ გემის ევაკუაცია, რომელიც კონტრრევოლუციურად იყო განწყობილი, ორი ინგლისელი ოფიცრის ზეგავლენით, გემი ნაცვლად ასტრახანისა ქ. კრასნოვოდსკში მიიყვანა. ბაქოს კომისრები „ცენტროკასპიის დიქტატურის“ კონტრრევოლუციური მთავრობისა და ინგლისელი ინტერვენტების მიერ დაპატიმრებულნი იქნენ.

კონტრრევოლუციონერმა ესერებმა და ინგლისელმა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს სიცოცხლე მოესპოთ ბაქოს 26 კომისრისათვის. 1918 წლის 20 სექტემბერს მათ თავიანთი ბოროტი განზრახვა აღასრულეს: ბაქოს 26 კომისარი ვერაგულად დახოცეს იმიერკასპიის ქვიშრობში, ქ. კრასნოვოდსკიდან 207-ე ვერსზე.

* * *

ბაქოს კომისრები გმირულად დაეცნენ, ისინი მსხვერპლად შეეწირნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეს. მაგრამ ის დიდი მიზანი, რისთვისაც 26 კომისარი იბრძოდა და რასაც მათ თავიანთი სიცოცხლე შესწირეს უკვე განხორციელებულია. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში ააგო სოციალისტური საზოგადოება და ძლიერადაა მიღის წინ, კომუნისმის გამარჯვებისაკენ.





დაბა თეთრიწყაროში რუსი მოსახლეობის ცხოვრების ისტორია მეტად საინტერესოა. იგი XIX საუკუნეში...

მეფის მთავრობის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ძველად ქართველები იმავე მიზნისათვის მუდამ იყენებდნენ კოვარს, მანგლისსა და დღევანდელ დაბა თეთრიწყაროსაც...

იმ დროს ჯარისკაცთა სამხედრო სასახურის ბეგარა 25 წლით განისაზღვრებოდა. მთავრობის მითითებით მუდმივად დაბანაკებული ჯარის ნაწილების შტაბებთან სახლდებოდნენ და ცხოვრებას იწყებდნენ სამხედრო სამსახურის ბეგარამოსხილი, ომში მიღებული ჭრილობების, მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო ჯარიდან დაახლოვნილი ჯარისკაცები.

აღნიშნული წესის თანახმად, მეგრულთა ეგერის პოლიკიდან განთავისუფლებული პირველივე ჯარისკაცები სოფ. გარისთან ახლოს მდებარე ტყეს კაფავდნენ, სახლებს იშენებდნენ და ცხოვრებას იწყებდნენ. იმ ადგილს, სადაც ისინი სახლდებოდნენ, „სლაბოდა“ შეარქვეს. გარდა ამისა, კავკასიაში ერმოლოვის ყოფინს დროს, იმ ჯარისკაცებს, რომლებსაც ცოლშვილი სამშობლოში ჰყავდათ დატოვებული, ნება დაერთოთ სახელმწიფოს ხარჯზე ჩამოეყვანათ და სამხედრო სამსახურის შესრულებასთან ერთად, ცოლშვილთანაც ეცხოვრათ, ხოლო უცოლო ჯარისკაცებს ცოლები შეერთოთ და იქვე დასახლებულიყვნენ. რადგან იმ დროს ადგილობრივ ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმაო რაოდენობით რუსი ქალიშვილები, გენ. ერმოლოვის მითითებით მოწოდებულ მიმართეს რუსეთის შიდა გუბერნიებში მცხოვრებ ქალიშვილებს, რათა ჩამოსულიყვნენ დაბანაკებული ჯარის შტაბების სამყოფელში. აღნიშნულმა მოწოდებამ დიდი გამოხმაურება...

და პოვა და დაიწყო ჯარისკაცების ცოლშვილთან ერთად მათი ნათესავი ქალიშვილების ჩამოსვლა.

მთავრობა ცოლიან ჯარისკაცებს დასახლებაში ესმარებოდა და გადასახლებულად შედგებოდა უწყებდა. აი, ამ დროიდან დაიწყო კავკასიის ჯარის ნაწილებში ცოლიან ჯარისკაცთა დანაყოფების, ანუ ე. წ. ცოლიანი ასეულების ჩამოყალიბება. როგორც სხვაგან, ისე დაბა თეთრიწყაროში დაბანაკებულ პოლკშიაც ჩამოყალიბდა ცოლიან ჯარისკაცთა ასეული. ცოლიან ჯარისკაცებს სახელმწიფო ხარჯზე ჩამოჰყავდათ ცოლშვილი, ხოლო უცოლოები კი ჩამოყვანილ ქალიშვილებზე ქორწინდებოდნენ. მთავრობის დახმარებით ისინი იქვე, „სლაბოდაში“ მიცემულ მიწებზე ტყეს ჰკაფავდნენ, სახლებს იშენებდნენ და ცხოვრებას იწყებდნენ. სხენებულ „სლაბოდას“ შემდეგში ხელმწიფის შვილის — კონსტანტინეს პატრიარქად — „კონსტანტინოვს“ უწოდეს. რამდენიმე ხნის განმავლობაში კონსტანტინოვსაში 132 რუსი ჯარისკაცის ოჯახი დასახლდა. თვითუფროსსაც საცხოვრებელი სახლის უკან სხვადასხვა ზომის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ეძლეოდა. კონსტანტინოვსა ამაჰამად დაბა თეთრიწყაროს ერთერთ მოზრდილ უბანს წარმოადგინს.

უფრო გვიან, ბარონ როზენის მიერ შედგენილი იყო კავკასიის კოლონიზაციის პროექტი და იმპერატორის მიერ 1836 წელში დამტკიცებული. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა სამხედრო დასახლებულთა მოწყობას, როგორც სხვადასხვა ადგილებში, ისე მეგრულთა ეგერის პოლიკის შტაბთან — დაბა თეთრიწყაროში, სადაც უნდა დაესახლებიათ ის ცოლიანი ჯარისკაცები, რომლებსაც ჯარში 15 წლის სამხედრო სამსახურის ბეგარა ჰქონდათ შესრულებული. რუსი სამხედრო დასახლების მოწყობით მეფის მთავრობის ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ უფრო განამტკიცებდნენ მეფის მთავრობის ბატონობას კავკასიაში, დაეჭირებინათ მკვიდრი მოსახლეობის რუსიფიკაცია და, გარდა ამისა შეემცირებინათ მრავალრიცხოვანი ჯარის შესანახი ხარჯები. სულ მალე დაწყებული იქნა სამხედრო დასახლებათა მოწყობა და შესაფერისი სამუშაოები და 1837 წლის 10 ოქტომბერს სათანადო დებულებაც იქნა დამტკიცებული.

დაბა თეთრიწყაროში სამხედრო დასახლება დაწყებული იქნა სოფ. გარისის ნასოფლარზე და მას „პოსელენიე“ უწოდეს. იგი დღესაც ამ სახელს ატარებს და, მსგავსად კონსტანტინოვიკისა, დაბა თეთრიწყაროს ერთერთ საკმაოდ მოზრდილ უბანად ითვლება. ამ სამხედრო დასახლებას სასოფლო-სა-

მეურნეო სამუშაოებისათვის, თავდაპირველადვე 1330 ჰექტარი მიწა გამოუყვეს. ყველა სამხედრო დასახლებულს საბრძოლო იარაღიც დაურთეს.

სამხედრო დასახლებაში ჩარიცხულ ჯარისკაცებს ჩამოჰყავდათ ცოლშვილი და მათთვის განკუთვნილ ადგილებზე სახლდებოდნენ. მთავრობა თვითუფროსსაც მუშა-საქონლის, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და სათესლე მასალის შესაძენად დახმარების სახით 160 მანეთს აძლევდა. ამრიგად დაბა თეთრიწყაროს სამხედრო დასახლებაში საცხოვრებლად თავს იყრიდა სხვადასხვა გუბერნიებიდან ჩამოსული რუსი მოსახლეობა. უმთავრესად ისინი ჩამოსული იყვნენ პენზის, ტამბოვის, სარატოვის გუბერნიებიდან და დონის ოლქიდან. საკმაოდ ბევრი ყოფილა უკრაინელებიც. 1840 წლის მაისისათვის სამხედრო დასახლებაში 131 რუსი ოჯახი ყოფილა. იმავე თვისათვის მათ ჰყოლიათ: 339 მსხვილფეხა საქონელი, გარდა ამისა 172 ძროხა, 67 ცხენი, 5 კვიცი და 2 ღორი. სამხედრო დასახლებაში ყველა საცხოვრებელი სახლი შენდებოდა მთავრობის მიერ წინასწარ დამტკიცებული ტიპითი პროექტის მიხედვით. სამხედრო დასახლება დაყოფილი იყო ათეულებად და ასეულებად, ათეულში ათ-ათი, ხოლო ასეულში 4-5 ათეული სახლი შედიოდა. ათეულისა და ასეულის უფროსები პოლიკის უფროსის მიერ მტკიცდებოდა. სამხედრო დასახლებულებს დადგენილი ტანსაცმელის ფორმის გარეშე სიარული სასტიკად ჰქონდათ აკრძალული. დასახლებულთა ადგომა, მინდვრად სამუშაოდ წასვლა, სადილის ჭამა, დასაძინებლად დაწოლა და სხვ. სამხედრო ბრძანებისა და საყვირის მიცემით ხდებოდა. ქალები ვალდებული იყვნენ ერთ და იმავე დროს აენიოთ ღუმელები. დაქორწინება პოლიკის უფროსის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო, ხოლო არა სამხედრო დასახლებულთა ქალებს — აკრძალული. პოლიკის უფროსის უნებართვოდ სამხედრო დასახლების გარეთ წასვლა სასტიკად იყო აკრძალული და ამ წესის დამრღვენი მკაცრად ისჯებოდნენ. საცხოვრებელ სახლებში სისუფთავესა და წესრიგიანობას დღეში ორჯერ შემოვიდა ამოწმებდნენ და დამრღვევ პირებს მკაცრად სჯიდნენ. 7-მ წლიდან დაწყებული ყველა ბავშვს უნდა სცმოდა მათთვის შემოღებული ფორმის ტანსაცმელი და იქვე ჯარის ნაწილთან გახსნილ კანტონისტთა სკოლაში უნდა ესწავლა. მათ იქ ასწავლიდნენ არითმეტიკის ოთხ მოქმედებას, კატეხიზისს და მწკრივში მარშით სიარულს. სამხედრო დასახლებულნი, მათი ცოლები და ბავშვები, ოდნავი

ურჩობისა და უწყისო მოქმედებისათვის, გამოთვლით და გაწკაპვლით ისჯებოდნენ, ხოლო 15 წლის სამხედრო ბეგარამოსხილი ზოგიერთ მამაკაცს გაწკაპვლის გარდა ხშირად ისევ სამხედრო სამსახურში რიცხავდნენ. მაგ., პოლიკის უფროსის ბრძანებით, დასახლებულთა საერთო შეკრების წინ მედოლე ქალ შახოვსათვის 12 წებულა დაურტყამთ, კახიხვისათვის — 25, ხოლო 15 წლის სამხედრო სამსახურის ბეგარამოსხილი ზოგიერთ მამაკაცს გათვის — 50 წებულა და ხელმოურედ სამხედრო სამსახურში, კავკასიის ერთერთ ბატალიონში, ჩაურტყავთ.


მიუხედავად იმ დიდი წვალებატანჯვისა, რაც თეთრიწყაროს სამხედრო დასახლებულთა გამოიარეს, ისინი არა თუ ვიზიუურად განადგურდნენ, არამედ შემდგომში კიდევაც მომრავლდნენ. მაგ., 1886 წლის მოსახლეობის აღწერით, დაბა თეთრიწყაროში, მისი ორივე უბნის — კონსტანტინოვიკის და პოსელენიეს ჩათვლით ირიცხებოდა 393 ოჯახი 1863 სულით. მათ შორის ქართველები მხოლოდ 17 კომლი იყო 32 სულით, და ისინიც, ალბათ, დროებით სამუშაოდ იყვნენ იქ მისული. სამხედრო დასახლებას, ამ უტხო, ხელოვნურად შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც დაყრდნობილი იყო მონურ შრომაზე, რასაკვირველია, არც თვით რუსი ხალხისათვის და არც მათი დამარსებლებისათვის დადებითი შედეგის მოტანა არ შეეძლო, რის გამო ამიერკავკასიაში მოწყობილი ყველა სამხედრო დასახლებანი 1857 წლის ივნისის თვიდან გაუქმებულ იქნა და ისინი გადაეცა იმ დროს არსებულ სახელმწიფო ქონებათა უწყებას.

ამრიგად, ნასოფლარ გარისს, 1820 წლიდან მეგრული ეგერთა პოლიკის იქ მუდმივ დასახანაკებლად გადაყვანის შემდეგ „ბელი კლიუჩი“ (თეთრიწყარო) უწოდეს, მაგრამ გასული საუკუნის 50-იან წლებიდან თათრული სახელი „აღბულაღი“ დაარქვეს. 1938 წლიდან კი მას თეთრიწყაროს სახელწოდება მიეკუთვნა.

დაბა თეთრიწყარო ორი მოზრდილი უბნის — კონსტანტინოვიკისა (ყოფ. „სლაბოდა“) და პოსელენიესაგან (ყოფ. სამხედრო დასახლება) შედგება. როგორც დავინახეთ, დაბა თეთრიწყაროს კონსტანტინოვსაში რუსი მოსახლეობა პირველად 1820 წლიდან, ხოლო სოფ. გარისის ნასოფლარზე აღმოცენებულ „პოსელენიეში“ 1837 წლიდან გაჩნდა.

ამჟამად „პოსელენიეს“ რუსი მოსახლეობა გაერთიანებულია კონსტანტინოვიკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც თეთრიწყაროს რაიონში ერთერთ მძლავრ კოლმეურნეობად ითვლება





ინგლისელი მოგზაურის იკვანისაგან

ლევან ბარათაშვილი

მხატვარი თ. მირზაშვილი

ნაპოლეონი ახალი განდევნილი იყო რუსეთიდან და მოსკოვი ჯერ კიდევ იწუშებდა ხანძრისაგან მიყენებულ იარებს, რომ ერთ დღეს ომსკის ციხესიმაგრეს, სემიპალატინსკის მხრიდან, საფოსტო კარტა მიაღდა. კარტიდან გადმოსულმა მალაღმა, ტანხმელმა უცნობმა, რომლის შავგვრემანი, ენერგიული სახე და კეხიანი ცხვირი მის არარუსულ წარმოშობას მოწმობდა, ციმბირის ხაზის უფროსის, გენერალ გლაზუნაის ნახვა ითხოვა. იგი დიდხანს უც-

ნოა! — ეუბნებო გენერალი თავის მოულოდნელ სტუმარს. — მე საქართველოში ნამყოფი და ნამსახურიც ვარ. ქართველები ნიჭიერი და მომავლის მქონე ერია. თქვენ ბრძანეთ, რომ ინდოეთიდან მოხვედით? ფრიად საკვირველია! რამდენადაც ვიცო, იქამდე გზას ქარავნები ხუთ თვეზე მეტს უნდებინან. რამ აგარჩევინათ ასეთი მიმართულება და რატომ იყავით ინდოეთში?

— ჩემი ამბავი ძალიან გრძელია, — უპასუხა მოგზაურმა. — იმისათვის, რომ თქვენთვის აშკარა გახდეს ჩემი ვინაობა და მოგზაურობის მიზანი, შემოძლია გიჩვენოთ ერთი რამ, რაც მე თოთხმეტი წელი თვალის ჩინივით მქონდა შენახული და მხოლოდ ათიოდე დღის წინათ გამოვაღმეურე სემიპალატინსკში.

ამ სიტყვებთან ერთად ქართველმა თავის ხანჯალს ტარი მოხრახნა და სიღრუვიდან დახვეული, გაყვითლებული ქალაქის ნაჭერი ამოიღო.

იოანე ბატონიშვილი ყურადღებით უსმენდა რაფიელ დანიბეგაშვილს, რომელიც ომსკიდან ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მოსკოვში მოხვდა. ისინი ისხდნენ მოფარდაგებულ ტახტზე მოსკოვის გარეუბან პრესნიას ერთ-ერთ სახლში.

— დანიბეგანთ გვარი, — მოუთხრობდა რაფიელი, — როგორც მოგხსენებთ, ოდითგანვე ვაჭრობას მისდევდა. პაპაჩემი თეიმურაზ მეფეს, თქვენი კურთხეული პაპის მამას ემსახურებოდა, მამაჩემმა კი ერეკლე ბატონის სამსახურში დალია წუთისოფელი. ერთგული სამსახურისთვის პაპაჩემს უკვე აზნაურობა უბოძეს. მეც სიჭაბუკეშივე მაზიარეს ვაჭარ-მოგზაურის ხელობას, ბევრჯერ ვხლებივარ მამაჩემს სპარსეთსა და ინდოეთში, ბევრი ქვეყნის წყალი მისწამს, ბევრი ჯურის ხალხთან მქონია საქმე. ვინც ამ საქმეს შეეჩვევა, მისთვის ერთ ადგილას ყოფნა, სახლში ფუსფუსი შეუძლებელი ხდება. შორეული ქვეყნების ნახვის წყურვილი ანდამატივით ეზიდება მის გულს, აჩქროლებს გაურკვეველი სურვილებით. ახლაც კი ნანასავით ჩამესმის ყურში აქლემების ზარი და ეკვანთა ქლარუნ-წერიალი, ინდოელთა ტკბილი მღერა, მთის ნაკადულთა ჩუხჩუხი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ და როგორ გამიტარებია ღამეები უჭეროდ და ზოგჯერ ულოგინოდაც, რანაირი მასპინძლობა მინახავს ისეთი ხალხისაგან, რომლიც არამცტუ

სახელი და გვარი, ფერიც კი უცხოა ჩვენებური კაცისათვის. მე, ქართველმა კაცმა, მთელი აზია შემოვიარე, ვნახე ოსმალეთი, არაბეთი, ინდოეთი, ბეკუ, ქაშმირი, ტიბეტი, ჩინეთი, ყირგიზეთისა და ყალმუხების ქვეყანა და სხვა მრავალი.

ინდოეთში ჯერ კიდევ ცხოვრებული პაპათქვენის — ერეკლე ბატონის დავალებით გახლდით. იგი ცდილობდა, როგორმე ისეთი გზა გამოეძებნა, რომ საქართველოსათვის უშიშარი ცხოვრებაც მოეპოვებინა და დამოუკიდებლობაც შეენარჩუნებინა. ინგლისელები, რომელთაც კარგად ესმოდათ ჩვენს ქვეყანაში რუსთა ხელისუფლების დამკვიდრების მნიშვნელობა, ცდილობდნენ რამენაირად გადაეხრებინათ ქართლ-კახეთის მეფე, რათა მას უარყოფითი რუსეთის ქვეშევრდომობა და ინგლისის მხარდაჭერით, სომხებთან ერთად, აზიის ძლიერი ქრისტიანული სამეფო შეექმნა. ამ მიზნის მისაღწევად ინგლისელები ყოველგვარ ხერხებს მიმართავდნენ და ბოლოს მათ გამოეძებნეს საიმელო თანაშემწე — სომეხი ვაჭარი შამირ-ალა, რომელიც ინდოეთში, ქალაქ მადრასში ცხოვრობდა და თავისი მშობლიური სომხეთის ადგილზე ოცნებო-




დიდა მიღებას. საფოსტო კარტის მეტელე გარშემოკრებულ ცნობისმოყვარე ბრბოს დაბალ ხმით აუწყებდა თავისი მგზავრის ვინაობას.

— უცხოელია... ამბობს, ინდოეთიდან გადმოვიდით მთებზე და უდაბნოებზე. აქლემით მოსულა სემიპალატინსკში, თათრულად შემოსილი. იქ დაპატიმრება დაუბირეს, მაგრამ ისეთი საბუთები უჩვენა თურმე, რომ ქალაქის უფროსიც და მისი ხელქვეითებიც ფეხზე დააყენა. შვიდი დღეა მომყავს იქიდან... რუსული არ ეხერხება, სულ თათრულ სიტყვებს ურევს! მოსკოვში მიემართება.

— ვიცით ასეთი საბუთები! განა ცოტა ჯაშუში დაძრვის ჩვენს რუსეთში? ეგ თუ პატიოსანია, ინდოეთიდან ცული გზით რისთვის იარა, რატომ ხომალდით არ მოვიდა პეტერბურგს?


ადიუტანტმა უცნობი გენერალთან მიიწვია. ორ საათზე მეტ ხანს გასტანა მათმა საუბარმა. ვინმეს რომ შეეხებინა გლაზუნაის კაბინეტში, იგი შემდეგს მოისმენდა.

— მამ თქვენ ქართველი ხართ, დიდად სასიამოვნო



ბდა. შამირ-ალა ბატონს სცემდა ერეკლეს, როგორც სომეხთა მფარველს და ერეკლის განმათავისუფლებელს და მდიდრულ საჩუქრებს უგზავნიდა სომეხი ვაჭრების ხელით. როგორც ჩანს, ერეკლესა და მადრასელ სოფდაგარს ერთმანეთთან მიმოწერაც დიდხანს უნდა ჰქონოდათ.

... და, აი, ერეკლემ მიმიხმო მე, როგორც ინდოეთის გზებზე ნასიარულევი, თურქული, სპარსული და (გაგრძელება იხ. 15 გვ.)





ალჟირი კასბას ქუჩებში



ლიბანი. ამერიკელთა პატრული ბეირუთის აეროდრომზე.

ხანგრძლიობის ღვთაება შოლუ-ხინის გამო-
სახულება. ბამბუკი. ჩინეთი. XIX ს.



ინდური მინიატიურა. XVIII სუკ.

მაიმუნო. ეგვიპტური ქანდაკე-
ბა. V ს. ჩვ. წ. აღრ.



ფაიანსის ლარნაკი. იაპონია.
XIX საუკ.



შაჰ-აბას I-ის სასახლე. ისპაჰანა.
ფრესკა.





სომხური ენების მცოდნე ვაჰარი და დამავალა მადრასში გამგზავრება შამირ-ალასთან. თან მიმქონდა ერეკლესაგან ლორეს სოფლების ჩუქების სიგელი შამირ-ალასათვის და დაბეჭდილი უსტარი, რომლის შინაარსიც ჩემთვის უცნობია დღემდე. თავს არ მოგაბურებო ჩემი მოგზაურობის ამბების თხრობით და მოკლედ მოგახსენებთ, რომ ეს მოგზაურობა უნაყოფო გამოდგა: სანამ მე მადრასს მივიღოდი, შამირ-ალამ თქვენი ჭირი წაიღო და მასთან ერთად მთელი მონაფიქრიც ჩაიფუშა. შამირ-ალას მეგვიდრე, რომელსაც წილად ხვდა ერეკლეს წერილის მიღება, გარკვეულს ვერაფერს შემპირდა. ზედვე ტყუობოდა, რომ მამამისის მოაზრებულ გეგმებს იგი ვერ განახორციელებდა. როგორც მოგვიანებით გავიგე ინდოეთში, შამირ-ალას მიერ დაგროვილი დოვლათიც მისმა უღარდელმა შვილებმა გაფლანგეს და წააგეს. სხვა რა გზა მქონდა, უკან გამოვბრუნდი.

სანამ მე ინდოეთში ემოგზაურობდი, საქართველოში ჯოჯოხეთური ამბები დატრიალდა. ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო და გადასწვა, ერეკლე გარდაიცვალა და მის ტახტზე ნეტარსხენებული მამათქვენი გიორგი დაჯდა.

ინდოეთიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, რომ მამათქვენი გამომიძახა და ეს მიზრძანა:

— რაფიელა! დანიბეგანთ გვარი დიდი ხანია ჩვენი სამეფო სახლის ერთგული მსახურია. პაპიან-შვილიშვილიანად გივლიათ მეფეთა დავალებით ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. თქვენი ამაგის საპასუხოდ მიბოძებია ბაღები, ლურჯ მონასტერთან რომ არის — ხევის პირას. გქონდეთ საუკუნოდ და ნურვინ შეგედავებათ მათს შემოსავალში.

მე მადლობა მიუძღვენი.

— ახლა კი, რაფიელა, შენ ახალი საქმე უნდა დაგაკისრო, — განაგრძო გიორგი მეფემ. — ისევ ინდოეთში უნდა გამგზავრო და, რაც შეიძლება, მალე.

— როდის? — აღმოხდა უნებურად.

— სამზადისისათვის ათი დღე გეძლევა.

თავზარდაცემული ვიდექი მბრძანებლის წინაშე. ცოლის შერთვას ვაპირებდი, ქალიც უკვე დანიშნული მყავდა და ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა განმეცადა ასეთი ბრძანების მოსმენაზე. მაგრამ ბრძანება ბატონის საქმეა, შესრულება კი — ყმისა.

— რუსეთიდან ჩამოსულია გრაფი მუსინ-პუშკინი, იმპერატორ პავლეს ელჩი, კაცი სწავლული და ცხოვრებაში ნაცადი. ხვალ მას ინახულებ და მოელაპა-

რაკები იმის შესახებ, თუ რომელი გზით ივლი და რას გააკეთებ.

— ახლაც მძაფრად განვიცდი ინდოეთისაკენ ჩემს მეორედ გამგზავრებას, — განაგრძობდა დანიბეგა-შვილი. — მოგზაურობა და სამეფო სამსახური მამა-პაპისაგან ნაანდერძევი და შესისხლბორცვული მქონდა, მაგრამ სწორედ იმ ხანად დაქორწინებას ვაპირებდით. ინდოეთში წასვლა ჩვენს გაბედნიერებას დიდი ხნით აგვიანებდა, — მით უმეტეს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სავაჭრო მოგზაურობა.

მე დავალებული მქონდა ინდოეთში მისვლის შემდეგ წავსულიყავ ქალაქ ბეკუს, სხვაგვარად რანჭუნს რომ ეძახიან. ეს ქალაქი ინდოეთსა და ჩინეთს შორის მდებარეობს და იქაური მცხოვრებლებიც ჩინელებს ენათესაებიან. ბეკუდან უნდა დავბრუნებულიყავ ინდოეთში და თანდათანობით, ვაჭრობით ინგლისელების ყურადღების მიუპყრობლად უნდა გამეხსენებო მთელი ინდოეთი კალკადიდან ქაშმირამდე. ამის შემდეგ ტიბეტის მაღალი მთები უნდა გადამე-




ლახა, ყაშლარში ჩავსულიყავი და მეგლო რუსეთის საზღვრებისაკენ სემიპალატინსკის მიმართულებით, სანამ არ შევხვდებოდი რუსთა ხელისუფლების წარმომადგენელთ. ყველა ამ ქვეყნებში უნდა გამეგო და ჩამეწერა ცნობები მათი ნაყოფიერების შესახებ, მანძილები და გზების მდგომარეობა, მოსახლეთა ზნე-ჩვეულება, ქალაქების ხასიათი და მართველობა, ინგლისელთა მეციხოვნე ჯარების რაოდენობა და წვრთნილობა, აზიელთა განწყობილება ევროპელებისადმი და ბევრი სხვა რამე.

დაწვრილებით არ შევუძლებდი ჩემი მოგზაურობისა და ცხოვრების აღწერას. ეს მოგზაურობა თბილისში გამომუშავებული გეგმის თანახმად მიმდინარეობდა. განსხვავება მხოლოდ ვადებში იყო — კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო, ამაზე სწორედ ნათქვამი. რამდენი თავგადასავალი გამამხდენია, ამას ვინ მოსთვლის! ბეკუდან კალკადაში ხომალდით მგზავრობისას ფათერაკი მეწია — შუა ზღვაში ქარიშხალი ამოვარდა და მრისხანე ტალღებმა ჩვენი ხომალდი ნაფოტივით აათამაშა. ერთ-ერთმა ასეთი ტალღის დარტყმამ ხომალდს გვერდი შეუნგრია, წყალი შიგ შევარდა და ვიწყეთ დაძირვა. მგზავრთა უმრავლესობა დაიღუპა, გადავრჩით მხოლოდ მე და სამი სხვა კაცი, რომელთაც მოვახერხებ ნავში გადაჯდომა, მაგრამ, ვაი ამ გადარჩენას! ცხრამეტი დღის განმავლობაში ოკეანე მოძულელებივით გვისროდა აქეთ-იქით, ძლივს ვასწრებდით ნავში ჩამოსული წყლის მუჭებით ამოღვრას. ნაპირზე მიდგომა საშიში იყო — ან შიმშილით დავიხოცებოდით, ან კიდევ ნიან-

გებისა და ვეფხების ლუკმა უნდა გავმხდარიყავით, რომელთა ღრიალიც უღრანი ტყეებიდან მოგვესმოდა. ადამიანის სახსენებელიც არსად იყო. ბოლოს, როდესაც დღევა შეწყდა, შევძელით ნაპირზე წავსვლა მიყენება და ხმელეთზე ფეხის დადგმა, თუმცა ამის შემდეგ კიდევ ბევრი დრო გავიდა, სანამ სამშვიდობოს მოვხვდებოდით. წვერულავაშვაბურძენილი და სამოსელშემოფლეთილი უცნობების დანახვა თავზარს სცემდა შემხვედრ მეთევზეებს და ისინიც ცდილობდნენ საჩქაროდ გავცლოდნენ. ღმერთმა აღვებრძოლოს ერთი ინგლისელი, რომელმაც ბაპარკანის ქალაქში მივიღო, გვაჭამა, გვაგვა, შეგვემოსა და თავისი ხომალდით კალკადას გავგისტუმრა.

ასეთივე მძიმე გზა სხვაგანაც შემხვდა, ტიბეტიდან იარყანდში გადასვლისას. იქ ისეთი მაღალი მთებია ამართული, რომ მათ გადალახვას სამ კვირას უნდებოდა. ბილიკი კლდეებზე, ლოდებზე, თოვლსა და ყინულზე გადის. სააპლიან ცხენებს ხშირად უცდებათ ფეხი საცალფეხო გზებზე, ცვივიან, იმტრევიან. ასეთ ადგილებში ცხენს ტიბეტური ხარი სჯობნის, იაკს რომ უძახიან — თუ გინდ ოცი ფუთი აპკიდე, მაინც თხასავით ივლის. რაც უფრო მაღლა ავდიოდი, მით უფრო მატულობდა სიცივე, პაერი კი თხელდებოდა და სუნთქვას გვიძნელებდა. და ბოლოს ჩვენ თავი ამოგყავით ყინულოვან სამეფოში, სადაც ვერც ერთ მცენარეს ვერ დინახავდით. ნელა მივიწვიდით წინ, ყოველი სამი-ოთხი ნაბიჯის გავლის შემდეგ უნდა შეგზებრებულიყავით და შეგვესვენა, სული მოგვეთქვა. ასეთ ადგილებში ადამიანს სევდა იპყრობს, მას იმედი ეკარგება იმისა, რომ კიდევ ოდესმე იხილავს ყვაილებს და ნაკადულებს, დაუბრუნდება ჩვეულებრივ საარსებო პირობებს.

... განა მართოდენ ბუნების ძალთაგან განვიცდილი საშიშროებას! ბეკუში მოვინდომე მენახა ხომალდი, რომელიც იქაური მეფისათვის აუშენებინათ და ოქროთი მოვარაყებინათ. ის იყო მივადექი ხომალდს, რომ თავს დამესხნენ იქაური მცხოვრებნი, შემიპყრეს და სატუსაღოსაკენ გამაქანეს, თანაც თავის მოკვეთით შემუქრებოდნენ. ჩემი საქმე ცუდად იქნებოდა,



რომ არ გამოქომაგებოდნენ სომეხი ვაჭრები. როდესაც ბრბო საპატიმროსაკენ მიმავანებდა, მე უნებურად ქართულად წამოვიძახე: „მიშველეთ! მიშველეთ!“ მაშინ ერთ-ერთმა ჩემმა ავისმსურველმა მკითხა: „ბიჭო, ქართველი ხარ? მე ახალციხელი სომეხი ვარ, აქ როგორ მოხვდი, შე დაღუპულა?“. გამომკითხა ყველაფერი და აუხსნა სხვებს ჩემი ვინაობა. მალე სხვა სომეხებიც გამოჩნდნენ, მიხსნეს განრისხებული ბრბოს კლანჭებიდან, წამიყვანეს და ძმასავით შემიტკბეს.


...გაჭირვებთან ერთად ღვინო და ღოვლათიც ბევრი მრგები ჩემი ცხოვრების ამ მოუსვენარ წლებში. საზღაპრო ქალაქ დელში, ინდოეთის მეფეთა სატახტოში, ბევრ ხანს ვიცხოვრე. დელის მეფემ, დიდ მონღოლთა შთამომავალმა გადასახადების ამკრეფად დამნიშნა და მეც მის სამფლობელოში დიდი გავლენა მოვიპოვე. შემიძლია გავისენო მდიდრული ნადიმები მაპარაჯებთან და დიდი მონღოლების სასახლეში, ასევე ინგლისელ გენერალ-გუბერნატორთანაც. არაფერი მაკლდა ღვთის შეწევნით დელში, ხალხიც და მისი ბატონ-პატრონებიც პატივისცემით მეპყრობოდნენ. მაგრამ სამშობლოს სიყვარული და რუსეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულება მეზიდებოდნენ ჩრდილოეთის დიდი სახელმწიფოსაკენ. რუსეთი და შემდეგ საქართველო! — ასეთი იყო ჩემი მიზანი, ჩემი გზა. ერთ ქალაქში დიდხანს ვერ ვჩერდებოდი, მოუსვენრობას ვგრძნობდი და, ადგილობრივი მოსახლეობის გულკეთილი მოპყრობის მიუხედავად, უცხო წესებს ვერ ვეგუებოდი. ალბათ, მკითხავთ, თუ ასე იყო, რატომ პირდაპირ არ გამოვწვიე აქეთ? არ შეიძლებოდა. ჯერ ერთი იმის გამო, რომ ინგლისელებს არ გაეგოთ ჩემი განზრახვა რუსეთში გადასვლის შესახებ და ხელი არ შეეშალათ მისი შესრულებისათვის და, მეორეც, იმის გამო, რომ ასეთ მოგზაურობას დიდი სახსრები მოუწოდებოდა, მე კი გზაში რამდენიმეჯერ გავღატაკე მძარცველთა თავდასხმის ან მებატონეთა სიხარბის, თუ წამებუნი ვაჭრობის გამო. ამიტომაც ჩემი დასახული გზის გავლა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შემიძლო, ქალაქიდან ქალაქამდე. ზოგიერთ ქალაქში ექვს-შვიდ თვეს და მეტ ხანსაც მიხლებოდა ცხოვრება. ზოგჯერ ჩემი გეზიდან გადახრაც დამჭირებია საქმეების ან ადგილთა დათვალიერებებისა და ხალხის გაცნობის გამო.

ამნაირად მოვიწვედი თანდათან საიმპერიო საზღვრებისაკენ. ნახულ-გაგონილს (რის ცოდნასაც მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი დავალებისთვის) ქართულად ვიწერდი უბის წიგნაკში. ინგლისელებმა და მათმა

თანამგრძობლებმა რამდენიმეჯერ ეჭვი მიიტანეს ჩემზე და ჩემი მოგზაურობის მიზანზე, მაგრამ მოვახერხე მშვიდობით თავის გადარჩენა. ერთხელ ჩემი ნაწერიც გამისინჯეს — მე იგი ქართულ ლოცვებად გავასაღე და თავი გამანებეს. ტურფანში ჩინელებმა გამაჩერეს და ბუქინში გაგზავნას მიიბრუნდნენ, მაგრამ მეცხოვრე ჯარის უფროსი მოვჭრთამე და მან თვითონვე გადმომაპარა რუსეთის საზღვარზე.

ასე დამთავრდა ჩემი მოგზაურობა ინდოეთში. პირადი ცხოვრება დამენგრა — არც ცოლი მყავს, არც შვილი, ნათესავებისა კი, დიდი ხანია, არაფერი ვიცი. არც ის მესმის, ვის და როგორ გავუზიარო ჩემი ცოდნა-გამოცდილება, ან თუ გამოადგება ვისმეს შორეულ ქვეყნებში გაკეთებული ჩანაწერები. ყოველი ადამიანი ვილადისთვის ან რაღაცისთვის ცხოვრობს და იბრძვის, მე კი არ ვიცი, რა შედეგი ჰქონდა ჩემს ცხოვრებას. გრაფი მუსინ-პუშკინი და იმპერატორი პავლე უკვე დიდი ხნის წინათ გარდაცვლილან, იმპერატორ ალექსანდრემდე კი ვერ შევძელ მისვლა...

მოსკოვის უნივერსიტეტის შენობის ერთ-ერთ ოთახში იოანე ბატონიშვილი და რაფიელ დანიბეგაშვილი პროფესორ ივანე დევიგუბსკის ესაუბრებიან.



— თქვენ შესანიშნავი სამოგზაურო გმირობა ჩაგიდენიათ, — აღტაცებით იძახის რაფიელის პიროვნებითა და ნაამბობით მოხიბლული პროფესორი. — რუსეთის იმპერიის მკვიდრთაგან თქვენ პირველმა უშუალოდ გაიცანით და აღწერეთ სანახევროდ ზღაპრული პეგუ, იგივე ბირმა. თქვენ ებრძოდით ინდოეთის ოკეანის აზობოქრებულ ტალღებს და ყარაყორუმის ციური მთაგრეხილის ყინვარებს, ქეიფობდით ინდოელ მაპარაჯებთან და უმზერდით დელის ნაგებობებს. ყოველი გეოგრაფი ინატრებდა თქვენს მიერ განვლილი გზის ნახვას.

— ქართველებს უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში აქეთ ინდოეთთან მიმოსვლა და აღებ-მიცემობა, — ჩაუბრუნა იოანე ბატონიშვილმა. — ეს კი პირველი შემთხვევაა, რომ ქართველ კაცს მთელი აზია გადაესეროს და გეოგრაფიული ცნობები ეგროვეზინოს. სწორედ რომ ღირსია წიგნად დაბეჭდვისა რაფიელ დანიბეგაშვილის არაჩვეულებრივი თავგადასავალი...

— აი ეს კარგი იდეა არის! — ამბობს დევიგუბსკი. — ასეთი საინტერესო მოგზაურობის შედეგები შთამომავლობას არ უნდა დაეკარგოს. რუსეთის საზოგადოება ფრიად ცნობისმოყვარეა შორეულ მხარეებისა და მათი მცხოვრებლების მიმართ, განსაკუთრებით კი



ინდოეთის, ტიბეტისა და იმ ქვეყნების მიმართ, რომელნიც ჩვენი იმპერიის საზღვრებთან ახლოს მდებარეობენ და ბრიტანელთა იერიშებს განიცდიან. პეტრე დიდის დროიდან ცდილობენ რუსები იქაურ ერებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

— ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობა, შრომა და ტანჯვა გამართლებული იქნება, თუ კი რუსეთის განათლებული და გულღია ხალხი წაიკითხავს ამ შთაბეჭდილებებს და ჩემი ჩანაწერებით უცხოეთის ქვეყნებს გაიცნობს.

— კეთილი და პატიოსანი. თქვენი ჩანაწერები, ალბათ, ქართულადაა შესრულებული...

— მე შემიძლია დავეხმარო რაფიელს მისი ჩანაწერების რუსულად თარგმნაში, — ამბობს იოანე ბატონიშვილი.


— მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება, ბატონებო! გკისრულობ სელივანოვსკის სტამბაში წიგნის დაბეჭდვას. ხელი რომ არ შეგვეშალოს ცენზურის მხრივ, გამოცემა მის საიმპერატორო უდიდებულესობას ალექსანდრე პირველს უნდა მივუძღვნათ... რაც შეეხება იმპერატორ პავლეს, გრაფ მუსინ-პუშკინსა და მათს დავალებას, უმჯობესია დავლუმდეთ, რომ ბრიტანეთის ლომი არ გავარისხოთ.

ჩემს წინ, მაგიდაზე ძველ მომცრო ზომის წიგნი:

„Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова. Перевод с грузинского, в типографии С. Селивановского 1815“

ვფურცლავ ამ წიგნს და, კკითხულობ რა დოკუმენტურ ამბავს რაფიელ დანიბეგაშვილის შინაარსიანი ცხოვრებისას, ვცდილობ, გონების თვალთვარით წარმოვიხსნო მისი გარეგნობა, მოვისმინო მისი ხმა, გავაცოცხლო მისი განცდები. ბევრი სახელოვანი შვილი წარმოშვა ქართველმა ერმა, რომელთაც სხვადასხვა დარგში გააბრწყინეს თავიანთი სამშობლოს სახელი. მოგზაურობათა დარგში რაფიელ დანიბეგაშვილს ვერც ერთი ქართველი ვერ გაუტოლდება და, თუ ვინმე მოისურვებს ამ დარგში ჩვენი ხალხის დამსახურების აღნიშვნას, მან პირველად სწორედ დანიბეგაშვილი უნდა ახსენოს.

ჩვენმა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ, მხატვრობამ და კინემატოგრაფიამ ხორცი უნდა შეასხან სახელოვანი ქართველი მოგზაურის სახეს, რომელიც ჯერჯერობით მკრთალ ესკიზად წარმოგვიდგება.



საინტერესო ქართული ცნობა ნაპოლეონ ბონაპარტის შესახებ

„და თუ ინებებთ ფრანკუსთ ამბავს, მონეპარტ, რომელიც ფერდმაშალი არის, რომლის სიგრძეს მოგახსენებენ სამს ჩარექს და ოცდაოთხს საათში ორს საათს ძილს მიყუდებით, და დღე-ღამე სასმლისა და საჭმლის მიღებას ოდენ სამის სტილისას, ამან ალექსანდრია ხომ აღრევ აღიღო, ეგვიპტე, იეროსალიმი და მკაქა და მადინაცა, ახლა ორი ათასი ჯარი მოჰმატებია, ბატონი ვეზირ აზამიც გარჯილა და ვგონებ თქვენის ბედნიერობით ორს თვეზედ კონსტანტინუპოლი აიღონ და ათაბაგობა თქვენთვის მომილოცავს ჩემის კაის ყმობით“.

ამ სტრიქონების ავტორია ცნობილი ქართველი მწიგნობარი პეტრე გიორგის-ძე ლარაძე. დაწერის თარიღია 1799 წლის სამი სექტემბერი. დაწერის ადგილი — თბილისი. წერილის ადრესატია ბაგრატ ბატონიშვილი, გიორგი მეფის შვილი, რომელიც იმ დროს თელავში იმყოფებოდა. წერილი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (ხელნაწ. K—9, საბ. № 49), საიდანაც ჩვენ იგი გადმოვიწერეთ ამ რამდენიმე წლის წინათ. წერილი მრავალმხრივია საინტერესო.

ნაპოლეონის პოპულარობა საქართველოში მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე კარგადაა ცნობილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობისა“ და პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი XIII-სა“ მიხედვით. ამ მხრივ ეს წერილი მხოლოდ დამატებით მასალას წარმოადგენს. მასში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ნაპოლეონ ბონაპარტეს პირადი თვისებების დახასიათება. ნაპოლეონის ცხოვრების აღწერილობიდან კარგადაა ცნობილი, რომ ის იყო ტანდაბალი ადამიანი, არაჩვეულებრივი შრომისუნარიანი და ძლიერ ზომიერი ჭამა-სმამი. უნდა ვაღიაროთ, რომ წერილის ავტორი სწორედ ასეთად ახასიათებს მას და, მაშასადამე, მას სწორი წარმოდგენა ჰქონდა ნაპოლეონ ბონაპარტეს პირად თვისებებზე. გაკვირვებით შევნიშნავთ, რომ საკმაოდ უჩვეულო შემთხვევაა „ჩარექ“-ის ხმარება ზომის ერთეულად, სამწუხაროდ, მისი, როგორც ზომის ერთეულის, რაობა ჩვენთვის უცნობია. სტილი კი ლიტრის 1/20-ს უდრია.

წერილში ლაპარაკია ნაპოლეონის ლაშქრობაზე ეგვიპტეში, რომელიც, როგორც ცნობილია, 1798 წლის 2 ივლისს ალექსანდრიის აღებით დაიწყო. შემდეგ დაპყრობილი იქნა თითქმის მთელი ეგვიპტე. 1799 წლის თებერვალ-მარტში ნაპოლეონმა პალესტინაზე გაგლით სირიისკენ ილაშქრა, იაფესთან დაამარცხა თურქები და აკრის აღების ხანგრძლივი და უშედეგო ცდის შემდეგ უკან დაბრუნდა.

როგორც ვხედავთ, ეს ამბები საქართველოში იმავე 1799 წლის სექტემბრის დასაწყისში სცოდნიათ. ეს გარემოება ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობით ქართველი საზოგადოების ცხოველ დაინტერესებაზე ლაპარაკობს. ნაპოლეონი ეგვიპტიდან 1799 წლის 23 აგვისტოს მოულოდნელად და ფარულად გაემგზავრა საფრანგეთში. ეს ამბავი საქართველოში, ცხადია, ჯერ არ ეცოდინებოდათ და სწორედ ამიტომ, რომ წერილის ავტორი ასე გატაცებით ლაპარაკობს თურქებთან ფრანგების მომავალ და მოსალოდნელ ბრძოლაზე, ორ თვეში კონსტანტინუპოლის აღებაზე და სხვა. ფრანგების წარმატებით გატაცებულ ავტორს მექა და მადინაც აღებული ჰგონია.

განსაკუთრებით საინტერესოა წერილის ბოლო სიტყვები „ათაბაგობა თქვენთვის მომილოცავს ჩემის კაის ყმობით“. ამ სიტყვებში გამოთქმულია ქართველების ღრმა სურვილი და სულისკვეთება: ფრანგების გამარჯვებას და თურქების დამარცხებას მათთვის სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლება უნდა მოეტანა. ამ თვალსაზრისით უდგებოდნენ ისინი ნაპოლეონის ბრძოლას თურქების წინააღმდეგ, ამით აიხსნება მათი სიმპათიები ფრანგებისადმი.

სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლება თურქების ბატონობიდან დიდხანს იყო ქართველ პოლიტიკოსთა განუწყვეტელი ზრუნვის საგანი. მისი განთავისუფლების ცდებს მრავალჯერ ჰქონდა ადგილი. გიორგი სააკაძემაც სცადა 1624 წელს ჯავახეთის ციხეების განთავისუფლება. ერეკლე მეორის მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის 1769-1774 წლების ომში ამ სურვილით იყო ნაკარნახევი. დიდი ყურადღება ეთმობოდა სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლების საკითხს ქართველ ხელისუფალთა რუსეთთან ურთიერთობის დროს. 1783 წლის ხელშეკრულება სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლებას და საქართველოსთან შემოერთებასაც ითვალისწინებდა. მაგრამ ამ ცდებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მესხეთის მიწაზე ისევ ბატონობდა თურქული ნახევარმთავრე.

ასეთ ვითარებაში ეგვიპტესა და სირიაში ნაპოლეონის ლაშქრობას, რა თქმა უნდა, შეეძლო ქართველთა ფანტაზია აღეგნო და თურქების დამარცხების შემთხვევაში სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლების იმედები აღეძრა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამ იმედებს რეალური საფუძველი არ ჰქონდა.

შ. ხანთაძე

ანდჯეზი



ჩინური ანდაჯეზი და თქმვა

არ არსებობს მდინარე, რომელზედაც არ შეიძლებოდეს გადასვლა.

კვერცხი ჯერ კიდევ წიწილა არ არის.

დიდი ფუნჯი სწერს დიდ იეროგლიფებს, დიდი ადამიანი აკეთებს დიდ საქმეს.

მარათი ვერ დაიფარავ მინდორს მზისაგან.

ყველაზე დიდ მთასაც არ შეუძლია დაჩრდილოს მზე.

დაბნეული ბრინჯის აკრეფა შეიძლება, ნათქვამი სიტყვის დაბრუნება კი არა.

გაბრაზების დროს ქვას რომ ფეხი მიარტყა, მხოლოდ ფეხი იგრძნობს ტკივილს.

თითები დაიბადნენ ერთ დღეს და ერთ საათში, მაგრამ სხვადასხვანაირები არიან.

ვიეტნამური ანდაჯეზი

იცხოვრებ გოგრაში — მრგვალი გახლები, იცხოვრებ ლერწამში — გაგრძელდები.

სწორ ხეს სწორი ჩრდილი აქვს.

აზრიკელ ხალხთა ანდაჯეზი

ორ ვერძს არ შეუძლია წყალი ერთი ქოთნიდან დალიოს.

მცენიერება ეს ზაობაბის ტანია, რომელსაც ერთი კაცი ხელს ვერ შემოაჭდობს.

ჯუნგლები სპილოზე ძლიერია

რაც უნდა გრძელი იყოს ღამე, დღე მაინც დადგება.

თუ შენ მიდიხარ უცხო ქვეყანაში, მდიდრის ოჯახში არ შეჩერდეს.

მზე რომ შუალამეს ამოვიდეს, მაშინ გამოჩნდებოდა, რომ არა მარტო აფთარია საძაგელი.

ირანული ანდაჯეზი და თქმვა

სადაც ხეხილი არ არის, იქ ჭარხალიც ფორთოხლად გასაღდება.

შრომა დასვენებად უნდა ჩათვალოს, როცა დიდი მიზნისაკენ მისწრაფები.

როცა ბედნიერება ზურგს შეგაქცევს, მაშინ ფაფისაგანაც შეიძლება ჩაგმტერეს კბილები.

ჭიანჭველას ბინაზე ცვარისაგანაც წყალდიდობაა.

ყვირილისაგან რომ სახლის აშენება შეიძლებოდეს, მაშინ ვირი მთელ ქუჩას ააშენებდა.

იაკონური ანდაჯეზი და თქმვა

მშიერ ძაღლს ჯოხის არ ეშინია.

რეგვენთათვის წამალი არ არსებობს.

ლომის ტყავსაც შეეპარება ხოლმე ჩრჩილი.

ამაყმა და დიდი ხნის ძილმა სიღარიბე იცის.



საქართველოსა და ეგვიპტის დიპლომატიურ ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ცნობები, როგორც საკუთრივ ქართულ, ისე არაბულ ენაზე, ეს საკითხი, სამწუხაროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.

აღებული ხანის დასახასიათებლად ჩვენ ძირითადად ვხელმძღვანელობდით ეგვიპტის მამულუქ სულთნების კარის კანცელარიის მდივნის ალ-კალაშანდის თხზულებაში „განთავი ბრმისა ებისტოლოგრაფის ხელოვნებაში“ დაცული ცნობებით.

გარდა ალ-კალაშანდის თხზულებისა ჩვენ ვისარგებლეთ, აგრეთვე, არაბი ისტორიკოსების იბნ ალ-ქასირის, ალ-აინის, ალ-მაკრიზისა და იბნ შედადის შრომებში დაცული ცნობებითაც.

ქართული წყაროებიდან ჩვენ ვისარგებლეთ „ქართლის ცხოვრება“-სა და „ძეგლი ერისთავთა“-ში დაცული ცნობებით.

ქართულ და არაბულ წყაროთა ცნობების ურთიერთ შეჯერება გვეხმარება დავაწესოთ საქართველოსა და ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი. ამას გარდა, არაბულ წყაროებში დაცულია ზოგიერთი ისეთი ცნობა, როგორც ქართულ წყაროებს არ შემოუწონავთ. რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ მოვლენის აღწერა არაბულ წყაროებში უფრო ვრცლად არის გამოცემული, რაც შესაძლებლობას გვაძლევს შევავსოთ ქართულ წყაროებში დამოწმებული სათანადო ცნობები. მაგრამ ამავ დროს ქართული წყაროების ზოგიერთი ცნობა ასწორებს არაბულ წყაროს ცნობას.

ალ-კალაშანდის თხზულებიდან ამოღებული ნაწყვეტი ასეთ ქვესათაურს ატარებს „ეგვიპტის სულთნების მიწერ-მოწერის შესახებ აღმოსავლეთის ურწმუნო მეფეებთან“.

საზგასანდოა ის გარემოებაც, რომ ამ ნაწყვეტში თავმოყრილია არაბ ავტორთა ალ-ომარისა და ალ-მუჰიბის ცნობები, რომელთაც ალ-კალაშანდი ხშირად განსაკუთრებულად გამოყოფს. გიორგი V-ის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით საქართველომ საერთაშორისო ურთიერთობაში სათანადო პოლიტიკური ადგილი დაიკავა.

თუ რაოდენ პატივს ცემდნენ მაშინდელი საქართველოს დიპლომატიურ ღირსებს, კარგად ჩანს კალაშანდის თხზულებაში დაცული ფორმულიდან, რომლითაც იწყებოდა ეგვიპტის მამულუქ სულთნების¹ მიმართვა საქართველოს მეფისადმი. ქართველ მეფისადმი მიმართვის წესი ალ-ომარის მიხედვით ასეთი იყო: „აღაჰიმც მაღალი ხანგრძლივი ჰყოფს ბრწყინვალეობას (მის) მეფური უდიდებულესობისა, სახელოვანისა, რაინდისა, მამაციისა, ლომისა, გულადისა, მუღმივად თავდამსხმლისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა და გვირგვინოსანისა, მის სარწმუნოებში განსწავლულისა, სამართლიანისა თავისი ქვეშემრდომთა მიმართ, რჩეულისა, იდრეკის მეფეთა შორის, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და სრუტეთა სამფლობელოების განძისა, რაინდთა სამწყსოს დამცველისა, მის წინაპრების ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების მფარველისა, იონელთა (ბერძენთა) ამოღებული მახვილისა, ასურელ მეფეთა ესენციისა, ტახტ-გვირგვინთა მემკვიდრეთა (შორის) რჩეულისა, ქრისტიანობის განმადიდებლისა, ისას (იესოს) მიმდევართა შემწისა, მესიის გამირების ცხებულისა, თავის განწარავით წმინდა სახლის (იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათლისღებულთა საყრდენისა, პაპის შემწისა, — რომის პაპისა, მუსლიმანთა მოყვარულისა, დაახლოვებულ მეგობართაგან უწმინდესისა მეფეთა და სულთანთა ერთგული მეგობრისა“.²

ქართველი მეფეებისადმი ეგვიპტის მამულუქ სულთანთა მიმართვის ასეთი წესი მიღებული იყო მე-14 საუკუნის პირველ ნახევრიდან. ეს ის ხანაა, როდესაც ეგვიპტე თავისთვის სანდო მოკავშირეებს ძებნა საგარეო მტრების წინააღმდეგ. მთელი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ეგვიპტე განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა ილხანთა ირანის წინააღმდეგ. საქართველოს მეფეები ილხანთა ირანის ვასალები იყვნენ და ძალაუფლებურად ამ ბრძოლაში ილხანთა მოკავშირე უნდა ყოფილიყვნენ. ალ-ომარის ცნობით ქართველთა ლაშქარი გულადი და მამაცი იყო. მათ მოკავშირეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილხანთა დაპყრობით ომებისათვის. ეს კარგად ესმოდა ეგვიპტის მამულუქ სულთნებსაც. სწორედ ამით აიხსნება ეგვიპტელ სულთანთა ქართველ მეფეებისადმი მიმართვის ასეთი მაღალი სტილი და განმადიდებელი სიტყვები. ეგვიპტის მამულუქ სულთნები ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოსთან მტკიცე მეგობრული კავშირის დამყარებას. ასეთი განწყობილებების შედეგი უნდა იყოს საქართველოსა და ეგვიპტის შორის წარმოებულ მოლაპარაკებაზე ჯვრის მონასტრის თაობაზე, რომლის შესახებ იტყობინება ალ-ომარი.

1 მამულუქები ეგვიპტეში გაბატონდნენ 1250 წელს. 1250-1390 წ. წ. ეგვიპტეს მმართველთა მამულუქთა ბაჰრიდთა დინასტია.
2 გ. წერეთელი. არაბული ქრესტომათია გვ. 78.


ალ-ომარის ცნობის თანახმად გიორგი ბრწყინვალეს ჯვრის მონასტრის თაობაზე განსაკუთრებული მიმოწერა ჰქონია ეგვიპტის მაშინდელ სულთანთან. ქართველთა მეფე სოხოვა ეგვიპტის სულთანს, დაებრუნებინა ქართველთათვის წართმეული ჯვრის მონასტერი, რომელიც მუსლიმანებს შეჩეთად გადაეჭციათ. ალ-ომარი სხვათა შორის ამ მონასტრის ადგილმდებარეობასაც მიუთითებს: (მონასტერი) მდებარეობდა სახელოვანი იერუსალიმის გარეთა ნაწილში,¹ სულთნის სათანადო განკარგულებით მონასტერი ქართველებს დაუბრუნეს. ჯვრის მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება თითქმის გადაუღწევე დაბრკოლებას წარმოადგენდა სულთნისათვის იმიტომ, რომ მამადიანთა მოძღვრების თანახმად მიწათმფლობელთა ეკლესიად გადაქცევა მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ ამ ბრძანებამ ალ-ომარის ცნობით მუსლიმანურ რელიგიის სწავლულებში ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. „თუმცა ეს არ გაკეთებულა ტყუილ უბრალოდ“ დასძენს იქვე ავტორი. როგორც ჩანს, ეგვიპტის სულთანს გარკვეული მიზეზები ამოძრავებდა.

ალ-ომარის მიერ მოწოდებული ცნობა ემოწმებიან როგორც ქართული „ძეგლი ერისთავთა“, ისე სხვა არაბი ავტორები. ალ-აინი გადმოგვცემს: (705 წელს) კონსტანტინეპოლს მიაღწიეს ქართველთა მეფის მიერ ეგვიპტის დიდებულ კარისაკენ გამოგზავნილმა ელჩებმა. ლასკარისმა² მოამზადა მათთან გასაყოფებლად თავისი ელჩი და გაგზავნა ისინი. ელჩებმა ზღვით მიაღწიეს ჯერ ალექსანდრიას, ხოლო შემდეგ კი კაიროს, მათ თან ჰქონდათ ის წერილი, რომელშიც ქართველები სოხოვდენ ეგვიპტის სულთანს მათი სახელით ცნობილ ეკლესიის დაბრუნებას, რომელიც დიდებულ იერუსალიმში მდებარეობდა და ეწოდებოდა სამართლიანი. ეს მონასტერი წართვეს ქართველებს დიდი ხნის წინათ, მონასტერში ააშენეს მეჩეთი მუჰეინისათვის. მონასტერი დაუბრუნდა ქართველებს. იბნ. ქასირი ამბობს: სულთან აზ-ზაჰირის³ მეფობისას შეიხმა ჰადრმა წაართვა იგი (ქართველებს) და შეჩეთად აქცია. (რელიგიური ბრძანებების აუცილებლობით მონასტერი დაუბრუნდა ქართველებს). ქართველებს ნება დართეს ემოგზაურათ მუსლიმანების თანასწორად. მანამდე კი ისინი მოგზაურობდნენ ცალ გვერდზე.

როგორც ვხედავთ, მეორე არაბული ცნობა უფრო დამაჯერებელია. იგი არა მარტო მონასტრის დაბრუნებას აღნიშნავს, არამედ იძლევა ცნობას ეგვიპტის სულთნის კარზე გაგზავნილ ქართველთა ელჩობის შესახებაც. ქართველმა ელჩებმა გზად ინახულეს ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე II და როგორც ჩანს მისთვის დახმარება უთხოვიათ. ანდრონიკე II ქართველთა ელჩებისათვის თავისი ელჩიც გაუყოლებია. ქართველთა მონასტრის დაბრუნების საკითხს, როგორც ჩანს, ქრისტიანულ სამყაროში საერთაშორისო მნიშვნელობა მიუღია. ალ-აინი გვატყობინებს, რომ ქართველებს ეს მონასტერი სულთან ბაიბარსის ჯეობის დროს დაუკარგვეთ. საქართველო აღნიშნულ ხანაში ოთხი მხრივ ხმაღს იქნედა და დაკარგული მონასტრისათვის არ ეცადა. მე-14 საუკუნის პირველ ნახევრისათვის კი, როცა საქართველო ეკონომიურად მოღონიერებდა და პოლიტიკურ გაერთიანებას იწყებდა, მონასტრის უკან დაბრუნების ყველა პირობა მომზადებული იყო. ქართველთა ელჩებმა მეორე დიპლომატიურ გამარჯვებასაც მიაღწიეს. ქართველ ელჩთა თხოვნით სულთანმა გააუქმა ქართველთათვის დამამცირებელი წესები. ქართველებს ნება დართეს ემოგზაურათ იერუსალიმში ცხენ-სახეირებზე, ორივე გვერდზე ფეხებ-ჩამოშვებულთ, მანამდე კი ისინი ცალ გვერდზე მჯდომნი მოგზაურობდნენ.

ალ-აინი ქართველთა ამ ელჩობის იველინების თარიღად 1305 წ. (მიჯრით 705 წ.) ასახელებს. ალ-აინის მიერ მოწოდებული თარიღი, უთუოდ მცდარი უნდა იყოს.⁴ ქართველთა ელჩები ეგვიპტის სულთნის კარზე გიორგი V-მ გაგზავნა, ისინი 1314 წელს⁵ აღერ არ ჩავიდოდნენ კაიროში. ჯვრის მონასტრის თაობაზე გაგზავნილი ელჩობა, რომ ნამდვილად გიორგი მე-5 მეფობის დროს მოხდა, ადასტურებს „ძეგლი ერისთავთა“, რომელშიც ნათქვამია: „მას უამსა მოვიდა ამბავი, კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შესწუხდა მეფე გიორგი: მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელს ერქვა პიპა გზასა ხმელთასა მრავლითა ძღვენითა წინაშე მისრელისა და წარყუათანა ბადანლას ძე დეკანოზი იოანე და მოვიდა პიპა წინაშე მისრელსა; ხოლო მან (ეგვიპტის სულთანმა — ა. მ.) სისხარულით შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავს ქრისტესსა და შემთხვია, უამი აწირვინა, ეზიარა. და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღვართ-

- 1 მონასტერი მდებარეობდა სინას მთაზე, იერუსალიმის ჩრ. დას-ით.
- 2 ანდრონიკე II, ბიზანტიის იმპერატორი 1282-1328 წელს.
- 3 აზ-ზაჰირი რუქნ ად-დინ ბაიბარს ბუნდუკარი ბაჰრიდების დინასტიის ეგვიპტის მამულუქი სულთანი (1260-1277 წწ.).
- 4 პროფ. ა. ცაგარელი აღნიშნავს, რომ ქართველთა ეს ელჩობა გაგზავნა ვახტანგ III (1301-1308). სიტყვა „ბარტილას“ იგი დამახინჯებულ „ვახტანგალ“ თვლის. А. Цагарели, „Памятники грузинской старины в святой земле и на Синае“, СПб, 1888 г, стр. 55.
- 5 გ. ბრწყინვალე გამეფდა 1314 წელს.



მოდერად... ხოლო პიპამან მოილოცა წმინდანი ადგილი და შეკრიბა ნაწი-
ლი წმინდანი და ხატნი შვენიერი და წარმოვიდა მასვე გზას ხმელეთით
და მოვიდა წინაშე მეფისა და მოილო იერლაცი შეწყალებისა და აღსრულება
ყოველის სათხოველისა მისისა. ფრიად განხარა გიორგი მეფემან, რამეთუ
მეცნეს კლიტენი ქართველთა“¹.

ქართულ ცნობას ბევრი სინათლე შეაქვს არაბ ავტორთა ცნობებში. არც
ერთ არაბ ავტორს არ აქვს დასახელებული იმ მეფის სახელი, რომელმაც
გააგზავნა ეს ელჩობა. „ძველი ერისთავთა“ ორგან იმეორებს: „მეფე გიორგი“,
„გიორგი მეფემან“¹. ქართული, წყარო არა მარტო ასწორებს არაბულ ცნო-
ბას, არამედ დამატებით მოგვითხრობს ქართველთა ელჩობის შემადგენლობი-
სა და მისი იერუსალიმში საქმიანობის შესახებ, თუმცა იგი სდუმს ქართველთა
ელჩობის მიერ კონსტანტინეპოლში მისვლის შესახებ, როგორც ქართული
ცნობა აღნიშნავს, ეგვიპტის მამელუქ სულთანს სიხარულით მიუღია გიორგი
მე-5-ის ძვირფასი საჩუქრები და ელჩობისათვის შეწყნარების იარაღიც გა-
მოუტანებია.

იმ ფაქტს, რომ ქართველები ბიზანტიელთა თანხლებით ჩასულან კაირო-
ში, გვამცნობს, აგრეთვე, აბულ-აბბას აჰმად თავი ელ-დინ აღ-მაკრიზი თავის
თხზულებაში: „წიგნი გზებისა სახელმწიფოთა დინასტიების შესაცნობად“ იგი
ამბობს: „(კაიროში) ჩამოვიდა კონსტანტინეპოლის იმპერატორის ელჩი, გურ-
ჯების მეფის ელჩის თანხლებით, რომელმაც ჩამოიტანა საჩუქარი და წერილი,
რომელშიც უფლისწული მოითხოვდა იერუსალიმში მუსულმანის (ჯვრის —
ა. შ.) მონასტრის გახსნას, რათა გურჯების შესძლებოდათ, თუ-მოისურვებდნენ
წასულიყვნენ იქ სალოცავად. ის ირწმუნებოდა, რომ ხალხი დარჩებოდა
სულთნის ქვეშევრდომად და დაცავდნენ მას ყოველთვის, როცა მისთვის სა-
ჭირო იქნებოდა დახმარება. გამოსცეს ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ,
რაც შესრულებულ იქნა. ელჩები გაცილებული იქნენ პასუხით“².

ამ ცნობაში დამატებით აღნიშნულია საინტერესო ფაქტი, რომელიც დი-
დი ყურადღების ღირსია. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველები შეიპირებან
დახმარებას ეგვიპტის სულთანს, თუ იგი გაჭირვებაში ჩავარდებოდა. ქართვე-
ლთა მიერ შეპირებულ დახმარებას დიდი გავლენა მოუხდენია ეგვიპტის სულ-
თანზე. სულთნისათვის ფრიად სასურველი იყო ქართველთა მოკავშირეობა.

ქართველთა მიერ ჯვრის მონასტრის თაობაზე გაგზავნილი ელჩობის თა-
რიღის დასაზუსტებლად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ალ-აინი, იგი ამ-
ბობს: „ხუთშაბათს ამ თვის 28 რიცხვს, სულთანმა მიიღო ელჩები. (მათ შო-
რის) ელჩები უზბეკის, ქართველთა მეფისა და დასკარისის. (ისინი) წარდგნენ
სულთნის წინაშე და ყოველმა მათგანმა მისცა მას თავისი წერილი და მართ-
ვა თავისი საჩუქარი“³.

ქართველთა ეს ელჩობა ეგვიპტეში ჩასულა 1320 წლის 28 მაისს. სულ-
თანს მიუღია ქართველთა მეფის ელჩები, რომელთაც სულთნისათვის წერილი
და საჩუქრები გადაუციათ. ქართველ ელჩებთან ერთად სულთანს მიუღია უზ-
ბეკ ხანის და ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე II ელჩები. ქართველთა
და ბიზანტიელთა ელჩობის ერთად მიღება გვაფიქრებინებს, რომ სწორედ ეს ის
ელჩობა უნდა იყოს, რომელიც ჯვრის მონასტრის საკითხთან დაკავშირებით
იყო მივლინებული. ჩვენის აზრით ქართველთათვის ამ მონასტრის დაბრუნე-
ბის თარიღად შეიძლება 1320 წელი მივიჩნიოთ.

ეგვიპტის სამეფოს აღებულ ხანაში მართავდა გაუბედავი, მაგრამ გაქნილი
დიპლომატი ნასრ ად-დინ მუჰამმადი, მამელუქების ბაჰრიდთა დინასტიის
წარმომადგენელი. ეგვიპტის ამ გამოცდილმა და ცბიერმა სულთანმა კარგად
გამოიყენა ქართველთა და ბიზანტიელთა თხოვნა ეგვიპტის საერთაშორისო
მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად. ეგვიპტე მე-14-ის
პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწი-
ფოს სახელს. მის სულთანს ნასრ ად-დინ მუჰამმადს ფართო დიპლომატიური
ურთიერთობა ჰქონდა იმ დროინდელი მსოფლიოს უძლიერეს მმართველებთან.
არაბ ავტორებთან შემონახულია ცნობები ეგვიპტისა და ოქროს ურდოს დიპ-
ლომატიური ურთიერთობის შესახებ, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეგვიპტე-
ლები ცდილობდნენ მოკავშირედ გაეხადათ ოქროს ურდოს მაშინდელი მმართვე-
ლები, რათა გარანტირებული ყოფილიყვნენ ილხანთა ირანის თავდასხმები-
საგან. ილხანთა ირანი ეგვიპტის დაუძინებელი მტერი იყო. მათ შორის გაუ-
თავებელი ბრძოლა სწარმოებდა. მეორეს მხრივ, ილხანთა ირანისა და ოქროს
ურდოს შორის მუდმივი ჭიდილი იყო ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის
აჭერბაიჯანის ხელში ჩასაგდებად. ეგვიპტის ამ დიპლომატმა სულთანმა თავი
კარგად გართვა დახლართულ პოლიტიკურ ვითარებას. იგი მჭიდრო კავშირს
ამყარებს ოქროს ურდოსთან და საქართველოსთან. თავის მხრივ, ოქროს ურ-
დო, ისევე როგორც საქართველო მისწრაფოდა ეგვიპტისთან შეთანხმების მო-

საღწევად. ოქროს ურდოსა და საქართველოს დაახლოვება ეგვიპტისთან ძა-
ლთა გადაადგილებას მოახდენდა უკანასკნელის სასარგებლოდ. ამიტომაც
იყო, რომ სულთანს ნასრ ად-დინ მუჰამმადი სიამოვნებით დაუხმანდა ქართვე-
ლთა თხოვნას. ახლა ცხადია, რომ აღ-ომარის სიტყვები, „თუმცა ეს არ გა-
კეთებულა ტყუილებრად“⁴, საქართველოსა და ეგვიპტის პოლიტიკურ შე-
თანხმებას გულისხმობს.

ქართველთა ზემოხსენებულმა ელჩობამ დიდი როლი ითამაშა საქართვე-
ლოს ძველი დიდების აღდგენის საქმეში. საქართველომ დიდ პოლიტიკურ გა-
მარჯვებას მიაღწია. ჯვრის მონასტრის დაბრუნების აუცილებლობა მხოლოდ
რელიგიური მიზნებით არ იყო ნაკარნახევი. როგორც ქართული, ისე არაბულ-
ი წყაროები გვაწვდიან ცნობებს, საიდანაც ნათელი ხდება რომ ქართველები
იერუსალიმში მონასტრები ჰქონიათ. ეს მონასტრები მხოლოდ რელიგიურ მიზ-
ნებს კი არ ემსახურებოდნენ, არამედ დიპლომატიურ ამოცანებსაც ასრულებ-
დნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროინდელ მახლობელ აღმოსავლეთის საერ-
თაშორისო ვითარებას საქართველოს მეფე მათი საშუალებით ეცნობოდა.
ბერები, რომლებიც რელიგიური მიზნით საქართველოდან წმინდა ადგილებში
იგზავნებოდნენ უმჭევლად ქართველთა მეფის დიპლომატიური აგენტებიც
იყვნენ.

ქართველებს, რომ ნამდვილად ჰქონდათ თავიანთი მონასტრები იერუსა-
ლიმში გვაძინებენ არაბი ისტორიკოსი იბნ შედადი, რომელიც აღნიშნავს,
რომ ჯერ კიდევ თამარ მეფეს გაუგზავნია ელჩობა სულთანს ხალაჰ ად-დინის
კარზე ქართველთა მონასტრების უკან დასაბრუნებლად. იგი წერს: „ქართველ-
თა ელჩი მოვიდა და მოახსენა სულთანს სპეციალურად წმინდა ადგილების
მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მათ ჰქონდათ იერუსალიმში და მოახსენა,
აგრეთვე, თავიანთი დასახლებული ადგილების შესახებ. (ქართველები) ჩიოდ-
ნენ, რომ წაართვეს მათ მონასტერი და თხოულობდნენ სულთნის კეთილ-
განწყობას, რათა დაებრუნებინა იგი მათი გამგებლისადმი“¹.

არაბ ისტორიკოსის ამ ცნობას ქართველი სასულიერო მწერლობის ცნო-
ბაც ემორწმუნება. ქართველთა დასახლებული ადგილები იერუსალიმის გარეთუბა-
ნში, ქართული ცნობით ჯვრის მონასტრის დაარსებისთანავე გაჩენილა. შემ-
დეგ იგი მუსლიმანებს დაუპყრია, ხოლო მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში
კვლავ ქართველებს დაუკავებიათ.²

ეგვიპტეში ჯვრის მონასტრის თაობაზე გაგზავნილი ელჩობა პირველი და
უკანასკნელი არ იყო. არაბ ავტორებთან დაცული ცნობების მიხედვით ნათე-
ლი ხდება, რომ საქართველოსა და ეგვიპტის შორის დიპლომატიური კავშირი
უფრო ადრეც არსებობდა. არაბულ წყაროებში, თუმცა ძალიან ძუნწად, მაგ-
რამ მაინც მოიპოვება ცნობები საქართველოსა და ეგვიპტის დიპლომატიურ
ურთიერთობის შესახებაც. ერთ-ერთი ასეთი ცნობა ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხ-
სენით, რაც შეეხება მეორეს იგი უფრო ადრინდელ პერიოდს ეხება და შემ-
დეგი შინაარსისაა: ეგვიპტის სულთნის კარზე 716 წ. (1316-1317 წწ.) მოვიდ-
ნენ უზბეკის, ქართველთა მეფის და უზბეკის ნათესავის ტულაის ელჩები სა-
ჩუქრებით. მათ პასუხი ვაცეს და საჩუქრები გაუგზავნეს. ამ წელს (ეგვიპტე-
ში) შეიკრიბა რვა ელჩი: ელჩი ჯუზანის, აბუ საიდის, უზბეკის და ტულაის,
აგრეთვე, ბარსელონის პატრონის, სტამბულისა და ნუბიის ბრძანებლისა
და ქართველთა მეფისა.

ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ქართველთა მეფეს ჯერ კიდევ 1316-
1317 წლებში გაუგზავნია ელჩობა ეგვიპტის სულთნის კარზე. ელჩობამ ქარ-
თველთა მეფის სახელით საჩუქრები გადასცა სულთანს და ერთგულება აღუ-
თქვა მას. ამავე ცნობიდან ირკვევა, რომ 1316-1317 წლებში ილხანთა ირანისა
და ეგვიპტის შორის მზვიდობიანობა ჩამოვარდნილა.

ამრიგად, როგორც ქართული და არაბული წყაროებიდან ირკვევა, მე-14
საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოსა და ეგვიპტის შორის ფართო
დიპლომატიური ურთიერთობა არსებობდა. ეს დიპლომატიური ურთიერთო-
ბა, მიუხედავად ამ ორ სახელმწიფოთა რელიგიათა სხვაობისა, გამოწვეული
იყო მათი სასიცოცხლო ინტერესებით. ამ დიპლომატიურ კავშირში ჩაქსოვი-
ლი იყო ამ ორი სახელმწიფოს ფართო პოლიტიკური მიზნები. გაერთიანების
გზაზე დამდგარი საქართველო მომავალ მტრების წინააღმდეგ ეძებდა ისეთი
დიდი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოს მხარდაჭერას, როგორც მაშინდელ-
ში მუსლიმანური ეგვიპტე იყო, ხოლო თავის მხრივ ეგვიპტე საქართველოს
ამ მისწრაფებას არ უგულბებლყოფდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა
ქართველთა სახით ჩრდილოეთში, ილხანთა მეუბოლად, სანდო მოკავშირე
ყოლოდა.


1 ქართველთა ელჩებს იბნ შედადის გადმოცემით სულთნისათვის 200.000
დინარი უძღვევიათ იმ ჯვარში, რომელზეც გადმოცემით, ქრისტე გააკრეს და
რომელიც იმჟამად მუსლიმანებს ჩაეგდათ ხელში.

2 ქართველ კოლონისტების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის
პროფ. ა. ცაგარელი, რომელმაც იმოგზაურა ამ ადგილებში მე-19 საუკუნის
ბოლოს. იგი წერს: В близи Крестного монастыря, на расстоянии минут
20 езды в роскошной „Вади ел-вард — Долине роз“ раскинулась не-
большая деревня Малха, населенная повидимому потомками грузин-
ских колонистов. Деревня эта сжвилась производством розовой во-
ды... Они забыли язык и веру отцов, но помнят еще свое происхож-
дение из „далекого севера“, как они выражаются и называют себя
„гурджи“ — грузинами... Они составляют стражу Крестного монастыря
и служат ему“ (А. Цагарели, Памятники... стр. 140).

1 იგულისხმება გიორგი მე-V ბრწყინვალე. ამის უტყუარობას ადასტუ-
რებს თვით ავტორი ამ ცნობისა უამთაღმწერელი, რომელიც ივ. ჯავახიშვილი
ლის აზრით თანამედროვე იყო გიორგი მე-V (იხ. ივ. ჯავახიშვილი „ისტო-
რიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, ძველი ქართული საისტორიო მწერლო-
ბა“ წიგნი II, თბილისი, 1944 წ. გვ. 247).

2 Quatremere, Historiens des sult mamlouks, II, p 255.
3 ალ-აინი გულისხმობს 1320 წლის რაბი-ალ ავ-ვალის (მაისის) 28
რიცხვს — ა. შ.

4. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, под
ред. В. Тизенгаузен, т I, СПб, 1884 г., стр. 490.





ხოჯა ნასრედინის ანეკდოტები



სხვის ვირს სიმღერით ეკება

ქალაქის ამირას ვირი დაეკარგა. მსახურები წავიდნენ საძებნელად, დაინახეს ვენახისკენ მიმავალი ხოჯა და უთხრეს „ჩვენ ამ მიმართულე-ბით წავალთ — შენ კი ვენახები მო-სინჯეო“. ხოჯა სიმღერით შეჯდა ვირზე და გაჰყვა ვენახებს. გზაში ერთი კაცი შემოხვდა და კითხა, „რაშია საქმეო?“ და როდესაც პასუხი მიიღო, გაიკვირა — „ეს რაწაირი ძებნაო“, ამზე ხოჯამ უპასუხა: „სხვის ვირს ყოველთვის სიმღერე-ბით ეძებნო“.



კაპატი ჩვენი სახნის გულითვის იყო

ერთხელ შუალამისას ხოჯას სახ-ლის წინ ხმაური ატყდა. ხოჯას უნ-დოდა აყალ-მაყალის მიზეზის გაგე-ბა. ცოლმა უთხრა — „რა გესაქმე-ბაო! იწექი შენთვის და ჩხუბში ნუ ჩაერევიო“. ხოჯამ ყური არ ათხო-ვა, გაეხვია საბანში და გარეთ გავი-და. სანამ ხოჯა ჩხუბის მიზეზს არ-კვევდა, მოვიდა ვიღაც კაცი, სტაცა საბანს ხელი და გაიქცა. ხოჯა დაიბ-ნა და ვიდრე ყველანი დაიშლებოდ-ნენ, გაოგნებული იდგა, მერე სიცი-ვისგან აკანკალებული შინ შემ-რუნდა.



— „რაო, რა მოხდა?“ შეეკითხა ცოლი. „თურმე ჩვენი სახნის გული-თვის დაობდნენ, გაჰქრა საბანი და ჩხუბიც გათავდა“, — უპასუხა ხო-ჯამ.

ხოჯა მხაგვარი

ხოჯა შევიდა ფადიშაჰთან, როდე-საც იგი რაღაც სურათს ათვალერებ-და. „ნახე, ხოჯავ, — უთხრა ფადი-შაჰმა, — რა კარგად დაუხატანია გლეხი მხატვარს!“ სურათზე ოსტა-ტურად იყო დახატული ძლიერი, ახოვანი გლეხი, რომელიც ყანას თოხნიდა.

კუნთიან სხეულზე ძარღვების და-ძაბვისა და გარუჯულ შუბლზე ოფ-ლის წვეთების უკეთესად დახატვა-ძნელი იყო.

„არა, ეს მხატვარი უნიჭოა, — თქვა ხოჯამ, — მე რომ შემხედდრო-და თქვენი ქვეშევრდომების დახატვა, უკეთესად მოვახერხებდი“. აღშფო-თებულმა ფადიშაჰმა დაუღაგა ხო-ჯას ყალბი, საღებავი, ქაღალდი და



უთხრა: „ახლავე დახატე! მაგრამ ამა-ზე უარესად თუ გამოგივიდა, შეიდ სილას გაგაწავა!“.

„გემორჩილებიო“, — უპასუხა ხო-ჯამ და სწრაფად შეუდგა მუშაობას. ხოჯას ყალბმა გამოხატა გაძვალ-ტუავებული მახინჯი კაცუნა, ობობა-სავით წვრილფეხებიანი, კუზიანი, თვალეში შუქჩაშქრალი.

„ეს რა არის! — აღშფოთებით წა-მოიძახა ფადიშაჰმა — საქმარისია! მომიშვირე ლოყა!“.

„მეუფეო!, — შეევედრა ხოჯა, — განა ვერა ხედავთ, რომ ჩემი ნა-ხატი მართლა სჯობია? მაგრამ, გა-ნა ჩემი ზრალია, რომ თქვენი სამარ-თლიანი მმართველობის წლებში ამა-ზე უკეთესი გლეხი არსად მოიძებ-ნება?“

ამირას სიზმრის ახსნა

ამირამ სიზმარი ნახა, თითქოს ძილში ყველა კბილი დასძრობოდეს. გამოუძახა სიზმრების ამხსნელს. „ვერ დაგიძალავთ, — უპასუხა მი-სანმა, — თქვენი შვილები და ყვე-ლა ნათესავები თქვენზე ადრე დაი-ხოცებიან!“.

განრისხებულმა ამირამ ამ წინას-წარშეტყველებსათვის მისნის დას-ჯა ბრძანა. მისნის დასჯის შემდეგ ამირას შეხვდა ხოჯა ნასრედინი. ამი-რამ კითხა ხოჯას „ხომ არ შეგიძლია ამისხსნა ჩემი უცნაური სიზმრის ნამ-დვილი მნიშვნელობა?“ „შემიძლია, მზეგრძელო მეფეო, — უპასუხა ხო-ჯამ, — კარგი სიზმარია. თქვენ იცოცხლებთ ამ ქვეყნად უფრო დიდ-ხანს, ვიდრე თქვენი შვილები და ნა-თესავები“. ამირა დამშვიდდა და უხვად დააჯილდოვა ხოჯა.

კურდღლის წვენი

ერთხელ გლეხმა ხოჯას კურდღე-ლი მოუტანა. ერთი კვირის შემდეგ გლეხი ისევ ეწვია ხოჯას, რომელმაც არ მოინდომა მისი ცნობა. „მე ის გლეხი ვარ — მოაგონა სტუმარმა — გასულ კვირას კურდღელი რომ მო-გიტანე“. „მობრძანდით, — წაიბურ-ტყუნა ხოჯამ და წვენით გაუმას-პინძლდა — ინებეთ კურდღლის წვენი“ — გაიხუმრა ხოჯამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ხოჯას გლეხები ეწვივნენ და იმათაც მოინ-დომეს, რომ ხოჯა გამასპინძლებოდა. „ვინა ხართო?“ შეეკითხა ხოჯა, — „ჩვენ იმ გლეხის მეზობლები ვართ, კურდღელი რომ მოგართვაო“ —

უპასუხეს გლეხებმა. ხოჯა მათაც გაუმასპინძლდა. ერთი კვირის შემ-დეგ ისევ მოვიდნენ გლეხები და ხოჯას შეკითხვაზე მათი ვინაობის შესახებ, უპასუხეს: „ჩვენ მეზობლე-ბის მეზობლები ვართ იმ გლე ხისა, შენ რომ კურდღელი მოგარ-თვაო“. „მობრძანდითო, უპასუხა ხოჯამ და წულიანი ჯამი დაუდგა წინ. გაკვირვებულმა გლეხებმა შეხედეს წულს და იკითხეს: „იფენდი, ეს რა არისო?“ „ეს იმ წვენის წვენია, რომელშიაც კურდღლის წვენი იხარმე-ბოდაო“, — უპასუხა ხოჯამ.



ხოჯა და გლახა

ერთხელ, როდესაც ხოჯა სახლში იყო, ვიღაცამ კარზე დაუტაკუნა. „რა გინდაო?“ იკითხა ხოჯამ. „და-ბლა ჩამოდიო“ — უპასუხეს საწყა-ლობელი ხმით. როდესაც ხოჯა დაბ-ლა ჩამოვიდა და კართან მივიდა, გლახამ უთხრა „გამიკითხეო“. ხოჯა გაჯავრდა, მაგრამ წარბიც არ შეიხა-რა და უთხრა: „შემოთ ამოდიო“. როდესაც გლახა ზემო სართულში ავიდა, ხოჯამ უთხრა — „ღმერთი შეგაწვიეო“, „ეს რა ამბავია, — უთ-ხრა გლახამ — თუ კი ცარიელს მის-ტუმრებდი, აქ რიდასთვის ამომიყვა-ნე, ქვემოთ ვერ მითხარიო!“ „მე რომ ზემოთ ვიქეტი — რატომ ყვე-ლაფერი არ ამისხენი — რაც გინდო-და, დაბლა რისთვის ჩამომიყვანეო“, უპასუხა ხოჯამ.



ხოჯას ჰკითხეს, „სად უნდა ვი-ყოთ, როდესაც მკვდარს მივახვეწებთ — კუბოს წინ თუ კუბოს უკან?“, „სადაც გინდათ იქ იყავით, ოღონდ კუბოს შიგნით ნუ იქნებითო“.

„მინდ ქარი იყოს და გინდ სორბალი“

ერთხელ ხოჯა ტყუილით აიძულეს სასამართლოში ცრუ მოპასუხისათვის მოწმობა გაეწია. მომჩინანი ითხოვ-და ხორბალს. გამოუძახეს ხოჯას, მან კი ჩვენება ქერის შესახებ მის-ცა. როდესაც მას მიუთითეს, რომ იგი შეცდა და ხორბალზე უნდა ელა-პარაკნა, ხოჯამ უპასუხა „თქვე სულელებო! — რახან ტყუილია, რა მნიშვნელობა აქვს — გინდ ქერი იყოს და გინდ სორბალი?“.



რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, ს. ღურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი შ. ლეკვა | ტექნიკური დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. | ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | უფასო 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.


ხელმოწერილია დახაზულად 4/X-58 წ. გამომც. № 145. ქალ. ზომა 70x108¹/₈, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 25.000. შეკ. № 926. უფ. 04270

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტ“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თრუსოს ხეობა

ფოტოს სულაგასი

№ 31/217



ქართული
ბიბლიოთეკა

